



იმისთანა წმინდა საძმომი, ბრძოლით ბეჭდუბი სიფყვას, ცუდილოებით და ჭბრებით ბურთის გაფანა ყელა უკადრისებზაგე უსაბაგლესია.



ბაგოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

სამშაბათი, 9 აპრილი. 2019 წ. №71 (8737)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

## ეშპაკი გვხვარს - უფალი გვაერთიანებს

**ბიძინა ივანიშვილი: სადაც იქნება ემოსიების გამარჯვება**  
საღ აზრზე, განზე გადგომა და დაპირისპირება, იმ იქნება ქაოსის  
ქალების დასაყრდენი, იმ იქნება 9 აპრილის იდეალების დალაბი

ნ. 3 33.



### ვარუჟოთ ერთმანეთს ციყვები

დღე დგება უტყვი და უჩვევი,  
მეწამულ ბილიკზე ვდგები,  
გაჩუქოთ ერთმანეთს სიცოცხლე,  
გავუთბოთ ერთმანეთს ძვლები.  
თქვენს ლამაზ ფიქრებში ვიჭრები,  
თქვენს სარკმელს ვაწყდები თრთოლვით...  
გაჩუქოთ ერთმანეთს წვიმები,  
გაჩუქოთ ერთმანეთს თოვლი.  
ყველას სიყვარულში ვიტყვებით,  
გლოცავთ და მიწრება ყელი,

გაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები,  
გაჩუქოთ ერთმანეთს ცრემლი!  
გავუგოთ ერთმანეთს უკლებლივ,  
ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი,  
ავუგსოთ ერთმანეთს გულები,  
სიყრმის და სიცოცხლის რწმენით!  
ვბოვოთ ერთმანეთი დვთის ნებით.  
სიტყვა გამოგნახოთ თბილი,  
ლოცვით მიმოყვართ ნისლები,  
ფარად ავეფართოთ თბილის!

ავუნთოთ ერთმანეთს სანთლები,  
შეგუწყოთ ერთმანეთს ხმები,  
გაჩუქოთ ერთმანეთს ზღაპრები,  
გაჩუქოთ ერთმანეთს წლები.  
ო, სისხლო, რა უცებ წყაღდები,  
ო, გულო, რა უცებ თვრები,  
გაჩუქოთ ერთმანეთს თვალები  
გაჩუქოთ ერთმანეთს ფრთები.  
ხორხს ცხელი სიმღერით ვიდადრაგ,  
ვფხიზლობ და ვჩურჩულებ: - ამინ!  
დავუთმოთ ერთმანეთს დილა  
და დავუთმოთ ერთმანეთს ღამე...

გორის ფოტოგრაფი



**და დარჩა**  
**5 ცოცხალ**  
**მაგალითად**

**საკანსიო**  
**სქემიდან**  
**განვლა**  
**6 აზიანებს**  
**თავად**  
**მონანილანს**



**„რუსთავი-2“ - უზნოვის ჭაოვი**  
**4 დედაო... დედაო...**  
**ბპარამია**  
**აბოპოქრდა**

# პრემიერ-მინისტრი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ადამიანის უფლებების საბჭოს რეფორმირების პროცესის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის მთავარი თემა იყო ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებული რეალობა და გამოწვევები. საუბრისას, ასევე განიხილეს ადამიანის უფლებების საბჭოს ფუნქციონირების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააცნო თავისი ხედვა საბჭოს სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებით. შეხვედრისას ასევე იმსჯელეს ადამიანის უფლებების საბჭოს მომავალი სხდომის ფარგლებში განსახილველ საკითხებზე. შედგა შეთანხმება, რომ საბჭოს მომავალი სხდომა აპრილის ბოლომდე გაიმართება.

ადამიანის უფლებების საბჭო 2014 წელს შეიქმნა და მის მთავარ ამოცანას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება წარმოადგენს. ამასთან, საბჭო ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესის კოორდინაციას და მონიტორინგს. საბჭოს ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი, ხოლო მის მუშაობაში სახელმწიფო უწყებების გარდა ჩართული არიან საქართველოს სახალხო დამცველი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

# სოფლის განვითარების საერთაშორისო კონფერენცია

8 აპრილს თბილისში ქართველი და ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა და სოფლის განვითარების პოლიტიკის შემქმნელთა მონაწილეობით საერთაშორისო კონფერენცია „სოფლის განვითარების პოლიტიკა 2020+“ – ევროპული პრაქტიკის დანერგვა საქართველოში“ გაიმართა.

სოფლის განვითარების კონფერენციის ორგანიზატორი და მასპინძელი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროა. ღონისძიების მხარდამჭერია ევროკავშირი (EU) გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით. ღონისძიება საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გახსნა. მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

„2016 წელს საქართველოს მთავრობამ სოფლის განვითარების პირველი ეროვნული სტრატეგია (2017-2020 წლები) შეიმუშავა და განხორციელება მიღებული გეგმის მიხედვით დაიწყო. დღეს ჩვენ ვმსჯელობთ ახალი სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაზე, რომელიც იქნება უფრო გრძელვადიანი და იმ გამოცდილებას ასახავს, რაც ამ წლებში დაგვიგროვდა. სოფლის განვითარების ახალი ხედვა ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილებასა და პრაქტიკას დაეფუძნება. ჩვენი მიზანია, ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდეს თანაბრად ყველასთვის,

განვითარება იყოს ინკლუზიური და მოიცავდეს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენ საკმაოდ დიდი ჩამორჩენა გვაქვს ქალაქსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონეებს შორის, ჩვენ ამ განსხვავების აღმოფხვრაზე ვიმუშავებთ. მომავალი შვიდი წლის პრიორიტეტები ადგილობრივი მენარჩეობის ხელშეწყობას, დასაქმების გაზრდას და სოფლის განვითარებაში მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას ითვალისწინებს. სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავება, შენახვა, მარკეტინგი, მიწოდება, აგროტურიზმი, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და ა.შ. სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები იქნება“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

სოფლის განვითარების კონფერენცია ევროკავშირის გრძელვადიანი დახმარების ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში სოფლის განვითარების ეფექტიანი პოლიტიკის შექმნას და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდას. სოფლის განვითარების პროგრამა ENPARD 2013 წლიდან ხორციელდება და მისი ბიუჯეტი 179.5 მილიონ ევროს შეადგენს.

„საქართველოს შეუძლია, წარმატებით ისარგებლოს სოფლის განვითარების ევროპული გამოცდილებით. ევროკავშირი ხელს უწყობს საქართველოს სოფლის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების მოგვარებას და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის განვითარებას“, – აღნიშნა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში კარლ ჰარცელმა.



ნომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების მოგვარებას და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის განვითარებას“, – აღნიშნა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში კარლ ჰარცელმა.

# გაიცანი პროფესია! ბიორგი ქობულია: პროფესიული განათლება უნდა გახდეს კარიერის უქმნის პრემია-პრემია ყველაზე პოპულარული გზა

„როდესაც ინვესტორებთან ვლაპარაკობთ ინვესტიციების მოზიდვაზე, ერთ-ერთი პირველი ფაქტორი, რასაც ისინი ყურადღებას აქცევენ, არის კვალიფიცირებული მუშახელის არსებობა ქვეყანაში. საუბარია ისეთი პროფესიის ადამიანებზე, როგორც არის, მაგალითად, დურგალი, შემდუღებელი, ტექსტილის წარმოების სპეციალისტი, რემონტების სფეროს სპეციალისტები – ანუ კვალიფიკაცია ძირითადად ეხება პროფესიულ განათლებას. შესაბამისად, გვჭირდება ძალიან დიდი ძალისხმევა და ენერჯია, რომ გარდატეხა მოვასდინოთ იმ ტენდენციას, რომელიც დღეს გვაქვს და პროფესიული განათლება გახდეს საქართველოში კარიერის შექმნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გზა“, – ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების



ბის მინისტრმა გიორგი ქობულიამ პროფესიული განათლების გამოფენის „გაიცანი პროფესია“ გახსნის ღონისძიებაზე განაცხადა.

გიორგი ქობულიამ თავის შესავალ სიტყვაში აქცენტი გააკეთა საქართველოს მთავრობის მისწრაფებაზე, რომ პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა და დაფინანსება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, წარმატების, დასაქმებისა და უკეთესი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა გახდეს ჩვენი მოქალაქეებისთვის.

მისი თქმით, მთავრობა ხედავს, თუ რამდენად დიდია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კერძო სექტორთან ურთიერთობის სულისკვეთება.

„თუმცა, გვჭირდება უფრო მეტი, რადგან ჩვენი სტრატეგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, რომ პროფესიული განათლება მიცემთ ადამიანებს იმ სფეროებში, რომლებიც მოთხოვნადია კერძო სექტორის მიერ. ამიტომ კერძო სექტორთან ურთიერთობა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი დასახული მიზნების მისაღწევად“, – განაცხადა გიორგი ქობულიამ.

# აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ჯემალ გამახარია აირჩიეს



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალი თავმჯდომარედ პყავს – საბჭოს წევრებმა ხმათა უმრავლესობით ამ თანამდებობაზე ჯემალ გამახარია აირჩიეს. აფხაზეთის საბჭოს თავმჯდომარედ კენჭს გამახარიასთან ერთად დავით

გვაძაბია იყრიდა, თუმცა მან ხმის მიცემის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე კანდიდატურა მოხსნა.

ჯემალ გამახარია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ელგუჯა გვაზავა შეცვალა. გვაზავას თავმჯდომარეობის მეორე სუთნლიანი ვადა ამოენურა. ორივე კანდიდატი, დავით გვაძაბიაც და ჯემალ გამახარიაც მისი ყოფილი მოადგილეები იყვნენ.

**საქართველო ღუბაის ფორუმზე**

ღუბაიში ყოველწლიური საინვესტიციო ფორუმი (AIM) მიმდინარეობს, სადაც საქართველოს უკვე მეორედ

გამოეყო განსაკუთრებული საგამოფენო სივრცე.

ეს ფორუმი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომელზეც თავს იყრიან უმსხვილესი საინვესტიციო კომპანიები (ორგანიზაციები), ინვესტორები, ექსპერტები და ა.შ. ღონისძიების ფარგლებში, დამსწრე საზოგადოებას შეუძლებლობა აქვს, გაეცნოს მონაწილე ქვეყნების საინვესტიციო კლიმატს, შესაძლებლობებსა თუ პროექტებს. სწორედ ამ მიზნით ფორუმის მეორე დღეს სააგენტოს „ანარმეო საქართველოში“ დირექტორი მიხეილ ხიდურელი პრეზენტაციას გამართავს ქვეყნის საინვესტიციო გარემოსა და პრიორიტეტული სექტორების შესახებ.



# ბიძინა ივანიშვილი: სადაც იქნება ემოსიების გამარჯვება სულ აზრზე, განზე გადგომა და დაპირისპირება, იქ იქნება ქაოსის კალების დასაყრდენი, იქ იქნება 9 აპრილის იდეალების დაღაბი

საპარტიველოს ისტორიას გავრი ისეთი დღე ახსოვს, რომელმაც ქართველი ერის ბაილი განსაზღვრა და ჩვენი ძველი მრავალმიხედობა გადაწყვიტა. სწორედ ასეთი დღეა 9 აპრილი. დღე, რომელმაც ოცდაათი წლის წინათ ახალ ეპოქას მისცა დასაბამი.

საბჭოთა იმპერიის მარნუხებისგან სამშობლოს დახსნა, საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება – ეს იყო ის დიდი ეროვნული იდეა, რომლის გარშემოც გაერთიანდა და ერთ მუშტად შეიკრა მთელი ერი.

1989 წლის 9 აპრილი იყო უმძიმესი, ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღე, მაგრამ ეს დღე ჩვენთვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა – მთელი განვლილი ისტორიის მანძილზე შექმნილმა ეროვნულმა ენერგიამ ერთ პატარა მოედანზე მოიყარა თავი და დაღვრილი სისხლის მიუხედავად, ამ უთანასწორო ბრძოლიდან ქართველი ხალხი მორალურად გამარჯვებული გამოვიდა.

ერთადერთი ძალა, რომელმაც მაშინ ჩვენს ხალხს შეაძლებინა შიშველი ხელებით დაპირისპირებოდა საბჭოთა რეჟიმის სისასტიკეს, წინ დასდგომოდა საბჭოთა ტანკებს, ეს იყო სამშობლოს უპირობო სიყვარული და შიშველი ემოცია. სწორედ ამ მუხტმა და ემოციამ შეგვაძლებინა, რომ თავისუფლებისთვის შეუპოვარი ბრძოლა რაციონალურ კალაპოტში მოგვექცია და ორი წლისთავზე, 1991 წლის 9 აპრილს, როგორც ამ ბრძოლის ლოგიკური შედეგი, ზვიად გამსახურდიამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან, როდესაც სახელმწიფოს მხარდაჭერას ცივი მოქმედება, მუხტაურობა და საზოგადოების მასშტაბური კონსოლიდაცია სჭირდება, ჩვენს რაციონალიზმზე ემოციური იმპულსი და მას შემდეგ, საქართველოს მთელი მოსახლეობის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

**ჯერ არჩეული ხელისუფლება დავაზე და ძველანა სისხლანი სამოქალაქო დაპირისპირების ქაოსში გადავიხარეთ, შემდეგ კრიმინალურმა ვაჯიჯანინეთ სამოქალაქო, მერე, თითქმის ორმოცდაათი წლის შემდეგ, ძველანა გაოსტრატეგიული ფუნქციის შევინათ და ნათესავებს დავაპაუხეთ, მაგრამ კორუფციისა და უპრობლეზო ჩაფლულება იმდენი ვქენით, სანამ ემოციური ტალღა შენახარდი დიქტატორი არ გამოვიჩინეთ, რომელიც რუსთაველის გამზირზე ისევ სისხლში ახშობდა სახალხო პროტესტს.**

**2012 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის ოცდაშვიდწლიან საპარტიველო დემოკრატიის ნახსენის გარეშე, გადავსაბუღო ციხეებით, სხვადასხვადაგიანი იდეებით, ოპორტიუნული ტერიტორიებითა და აღმოსავლური ტირანიის ისეთი ცინიკური მოღვაწით შეხვდა, რომელიც ხალხის ჯიბიდან წაგვამოვილი ფულითვე ყიდულობდა დემოკრატიის ნიღბს შინ თუ გარეთ.**

ასეთი იყო ჩვენი სახელმწიფოებრიობის ტრაექტორია – თავდადებარე სვლის ტეხილი, რომელშიც ძალიან ცოტა იყო დარაზმულობის, შრომისა და ურთიერთგაგების ადგილი, რომელშიც თითქმის ყველა ისტორიული გარდატეხა სულსწრაფობითა და ემოციით ხდებოდა, რის შედეგადაც ქვეყნის განვითარება ათწლეულებით დაგვიანდებოდა.

მიუხედავად ამისა, 2012 წლის პირველ ოქტომბერს ქართველმა ხალხმა შესაძლებლობა ზღვარზე გაიარა და წარმოუდგენელი გამარჯვება მოიპოვა. ბევრს არ სჯეროდა, რომ ნგრევის, სამოქალაქო დაპირისპირებისა და არეულობის, ყოველგვარი რევოლუციური სცენარების გარეშე, ჩვენ სამართლებრივ სივრცეში მოვახდენდით ემოციური მუხტისა და რაციონალიზმის იდეალურ შერწყმას, მაგრამ ჩვენ ეს შევქმენით – ძალადობრივი რეჟიმი ისე უმტკივნეულოდ, უსისხლოდ მოვიშორეთ თავიდან, რომ თვითონაც ბოლომდე არ იჯერებდნენ მომხდარს. ამ დღეს ხელმეორედ დაიბადა 9 აპრილის სულისკვეთება და უკვე მთავარი ნაწილია, ძველანა მართლმადიდებელი და ფუნქციონალური პოლიტიკა, რომელმაც უწყვეტი საგარეო და საშინაო მართლმადიდებლობა მოიტანა, რაც უპრობლეზო და დამოუკიდებელი საპარტიველო ისტორიაა.

მაგრამ მაინც მივიღეთ პარადოქსული ვითარება: როგორც წესი, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ეკონომიკურ განვითარებას თან სდევს დემოკრატიის პროგრესი და ადამიანის უფლებების სტანდარტის ზრდა. ჩვენს ქვეყანაში იმის გამო, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნების შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ უზრუნველყო დემოკრატიის მაღალი სტანდარტი და პოლიტიკური უფლებების სფეროში თამასა ევროპულ სიმაღლემდე ასწია, ჩვენი ეკონომიკური მოცემულობა ობიექტურად ჩამორჩა ამ სტანდარტს. სწორედ ამას იყენებენ ქაოსის მსურველი ძალები, სარგებლობენ რა ჩვენ მიერ დამკვიდრებული დემოკრატიული ინსტრუმენტებით და ეკონომიკურ პრობლემებზე სპეკულირებით კვლავ ფიქრობენ.

რევეანზე, ცდილობენ დაგვაბრუნონ 90-იანი წლების სიბნელებში და დღესაც მათი მთავარი დასაყრდენი კვლავ რაციონალიზმზე გამარჯვებული ემოციებია. მიუხედავად იმისა, რომ „ოცნების“ ხელისუფლებამ ამ ექვსი წლის მანძილზე რეგიონალური თუ გლობალური პოლიტიკურ-ეკონომიკური გამოწვევების ფონზე რეალური შესაძლებლობის თითქმის მაქსიმუმი გააკეთა და ეროვნული ეკონომიკის უკლებლივ ყველა სფეროში თვალსაჩინო პროგრესი აჩვენა, სწორედ „ოცნების“ ხელისუფლებას უყვებენ პრეტენზიას იმ სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსისთვის, რომელშიც ქვეყანა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აღმოჩნდა. ნიშანდობლივია, რომ ყველაზე ხმაველია იმ ხალხის პრეტენზია ისმის, ვინც იმ წლების განმავლობაში ყველაფერი გააკეთა, რომ ეს კოლაფსი დამდგარიყო.

ქვეყნის სტაბილურ წინსვლას რეალისტური და მკაფიო ამოცანები, მოთმინება და თანმიმდევრულობა სჭირდება. წინსვლა არ არის მყისიერი პროცესი. ის ითხოვს ხანგრძლივ სამოქალაქო მშვიდობას, რომელიც არ მიიღწევა ბარიკადების პირობებში. ამისთვის აუცილებელია ერთსულოვნება. სწორედ ის მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ვიყავით 1989 წლის 9 აპრილს, როდესაც არავინ კითხულობდა, თუ ვინ სად იდგა მანამდე, როცა ამპარტავნება და ეგოიზმი ვერ ერეოდა საერთო საქმეს, როცა საკუთარი თავი კი არ მოსწონდათ ეროვნულ მოძრაობაში, არამედ პირიქით, ეროვნული მოძრაობა – საკუთარ თავში.

პოლიტიკა არის შესაძლებლის ხელოვნება, ანუ მხოლოდ ის, რაც რეალურად მიღწევად მიზანს ემსახურება, ხოლო ხალხისთვის პოლიტიკად შესაღება იმისა, რაც შესაძლებლის მიღმა დგას – უბრალოდ მანებლობაა, რადგან არარეალური მიზნები ქმნიან ცრუ მოლოდინებს, მათი მიუღწევლობა კი შობს იმედგაცრუებას, ნიჰილიზმს და ძალიან სწრაფად იწვევს ეროვნული ენერჯის სრულ გამოფიტვას. გამოცდილება გვასწავლის, რომ ასეთი სულსწრაფი მცდელობები, წინსვლის და განვითარების ნაცვლად უკუსვლას იწვევს, რასაც, როგორც წესი, შედეგად ქაოსი და დესტაბილიზაცია მოჰყვება ხოლმე.

მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური წარსულისა, დღეს მოქალაქეები ისევ ერთი მიზნისთვის უნდა გავერთიანდეთ.

**ეს არ ნიშნავს მისიონარულ ნაშლას, არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს მიტანო ჩადენილი დანაშაული, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ „უზმაკი გვხვებს“ და განსაზღვრავს ჩვენს ბიზნესს უნდა დასრულდეს პრინციპული ლოზუნგით საზოგადოების გასწავლა, თითქმის გაშვება, ერთმანეთის დაშვება და პოლიტიკური წარსულის გულმოდგინე შეხსენება. ყველგან, სადაც იმდენი მოქალაქის გამარჯვება სადა აზრზე, განზე გადგომა და თანამოაზრებთან დაპირისპირება, იქ იქნება ქაოსის კალების დასაყრდენი, იქ იქნება 9 აპრილის იდეალების დაღაბი.**

**წარსულში მიგრუნება დღეს სრულიად წარმოუდგენელია. წინ მხოლოდ რაციონალური პოლიტიკის, განვითარებისა და დემოკრატიის გზაა. ძველანა სახელმწიფოს წინსვლის შეუძლებლობა მხოლოდ საერთო მიზნისთვის მთელი საზოგადოების დარაზმულობაზე დამყარებულია.**

**9 აპრილი მუდმივად გვახსენებს ამაში!**

**2019 წლის 8 აპრილი**



ვის აუცილებელია ერთსულოვნება. სწორედ ის მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ვიყავით 1989 წლის 9 აპრილს, როდესაც არავინ კითხულობდა, თუ ვინ სად იდგა მანამდე, როცა ამპარტავნება და ეგოიზმი ვერ ერეოდა საერთო საქმეს, როცა საკუთარი თავი კი არ მოსწონდათ ეროვნულ მოძრაობაში, არამედ პირიქით, ეროვნული მოძრაობა – საკუთარ თავში.

პოლიტიკა არის შესაძლებლის ხელოვნება, ანუ მხოლოდ ის, რაც რეალურად მიღწევად მიზანს ემსახურება, ხოლო ხალხისთვის პოლიტიკად შესაღება იმისა, რაც შესაძლებლის მიღმა დგას – უბრალოდ მანებლობაა, რადგან არარეალური მიზნები ქმნიან ცრუ მოლოდინებს, მათი მიუღწევლობა კი შობს იმედგაცრუებას, ნიჰილიზმს და ძალიან სწრაფად იწვევს ეროვნული ენერჯის სრულ გამოფიტვას. გამოცდილება გვასწავლის, რომ ასეთი სულსწრაფი მცდელობები, წინსვლის და განვითარების ნაცვლად უკუსვლას იწვევს, რასაც, როგორც წესი, შედეგად ქაოსი და დესტაბილიზაცია მოჰყვება ხოლმე.

მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური წარსულისა, დღეს მოქალაქეები ისევ ერთი მიზნისთვის უნდა გავერთიანდეთ.

**ეს არ ნიშნავს მისიონარულ ნაშლას, არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს მიტანო ჩადენილი დანაშაული, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ „უზმაკი გვხვებს“ და განსაზღვრავს ჩვენს ბიზნესს უნდა დასრულდეს პრინციპული ლოზუნგით საზოგადოების გასწავლა, თითქმის გაშვება, ერთმანეთის დაშვება და პოლიტიკური წარსულის გულმოდგინე შეხსენება. ყველგან, სადაც იმდენი მოქალაქის გამარჯვება სადა აზრზე, განზე გადგომა და თანამოაზრებთან დაპირისპირება, იქ იქნება ქაოსის კალების დასაყრდენი, იქ იქნება 9 აპრილის იდეალების დაღაბი.**

**წარსულში მიგრუნება დღეს სრულიად წარმოუდგენელია. წინ მხოლოდ რაციონალური პოლიტიკის, განვითარებისა და დემოკრატიის გზაა. ძველანა სახელმწიფოს წინსვლის შეუძლებლობა მხოლოდ საერთო მიზნისთვის მთელი საზოგადოების დარაზმულობაზე დამყარებულია.**

**9 აპრილი მუდმივად გვახსენებს ამაში!**

**2019 წლის 8 აპრილი**



# დედამოტ...ული გვარამია აბოზოქრდა

ალბათ ყველას გაქვთ ნანახი ფრანგული ფილმი „ფანტომასი აბოზოქრდა“, რომელიც მართლაც შესანიშნავია და მსოფლიო კინოხელოვნების ერთ-ერთ შედევრად ითვლება.

რაც შეეხება ნიკა გვარამიას, რომელსაც ძალიან სურს ფანტომასობა, მაგრამ როგორც კომიკური პერსონაჟი, თავისი ფხაკურით და არადადეკვატური ქმედებით შეიძლება კომისარ ჟუფისთვის შეგვედარებინა. სამწუხაროდ, აქაც ვერ „ქაჩავს“. ვერ „ქაჩავს“, რადგანაც კომისარი სრული გულწრფელობით ეკიდება თავის საქმეს, საკმაოდ ჭკვიანურად წარმართავს, მაგრამ ზედმეტი ემოციურობა აკომიკურებს. გვარამიას კი „ზედმეტი ემოციურობა“ ამაზრზენი და მარაზმში გადავარდნილი ადამიანის იმიჯს აძლევს. დღეს მისი საფირმო გამოთქმა „დედამოტ...ული სვავი“ თავად დედამოტ...ული გვარამია ბილნსიტყვაობით მარიაჟობს და ვერ გრძნობს, რამდენად სასაცილო და საზიზღარია.

ამ „იმიჯს“ კი მისი „კანტორა“ „რ-2“-ისეტი „შთაგონებითა“ და ენერგიულობით ქმნის, რომ, ფაქტობრივად, 80-იანებში გასაქირავებულ იმ ვიდეო-მაგნიტოფონს დაემგვანა, რომელსაც „უჟასის“ კასეტაც მოჰყვებოდა, „ბაევიკიც“, მელოდრამაც და „სექსებიც“.

„რ-2“-ის სხვა გადაცემებზე არაფერს ვიტყვი, უბრალოდ ბოლო „კვირის აქცენტებს“ შევხები, რომელშიც გვარამია-კვესიტაძესთან ერთად, დავით ზურაბიშვილი და ნოდარ ხარშილაძე ცდილობდნენ, „ელადავთ“ იმ ხალხზე, რომლებიც რუსთაველის თეატრში შეიკრიბნენ და თავიანთი აღფრთოვანება გამოთქვეს ამ სიბილნის ქარხნის მისამართით.

მიუხედავად იმისა, რომ „კვირის აქცენტებში“ მიწვეულნი ძალიან მდაბიო მენტალიტეტის (დიახ, სწორედაც რომ მდაბიო მენტალიტეტის) ადამიანები იყვნენ, არ დაგიმალავთ და საკმაოდ ბევრი საინტერესო მომენტი გამოჩნდა და გახშირდა.

დანებული ტექნიკური მხრიდან (ვიდეო-სიუჟეტების ჩვენების აბსოლუტურად ზუსტი გათვლა), გაგრძელებული იმ ენ. „დარტყმებით“, რომლებიც ზუსტად იმ ხალხზეა გათვლილი, რომლებიც ბოლო ათწლეულებში განათლებაზე, კულტურაზე, ინტელექტზე განსორციელებული გენოციდის გამო გახდა კესარიას ფიზიკური მონაცემების, რესპუბლიკელების ინტელექტის, მარინა ბერიძის მუსიკალობის, მარიამ გაფრინდაშვილის ჟურნალიზმის, გრიგოლ ვაშაძის პოლიტიკოსობის და კიდევ უამრავი ჭიანი ვაშლის საღ პროდუქტად აღმქმელი.

გაგიკვირდებათ და იმ მდაბიოთაგან მოდიოდნენ საკმაოდ სერიოზული მესიჯები. მესიჯები, რომლებიც არა ხელი-სუფლების, ან კონკრეტული ფოკუს-ჯგუფების წინააღმდეგ არის მიმართული (ის ჯგუფები ყველა შემთხვევაში ტივტივის სტატიკური მდგომარეობაში დარჩებიან), არამედ მიმართულია ხალხის, ჩვენი მომავლის წინააღმდეგ.

ეს მესიჯები არის ის ვირუსი, რომელიც პოლივერსის ზოგიერთ ფილმშია ნაჩვენები. ვირუსი, რომელიც თუ ბოლომდე არ ამოშანთ და ერთი მოლეკულაც დარჩა, უსწრაფესად მრავლდება

და სინათლის სისწრაფით ვრცელდება. მასპინძლებისა და სტუმრების „პრადვიზიტობა“, „უგზო-უკვლო ლიბერალიზმი და ცივილურობა“, ფაქტობრივად, ერთი-ერთში ემთხვევა აგრესიული ლიბერალიზმის პოლიტიკას.

არადა, ამ აგრესიას ევროპაში ნამდვილი ევროპელები დაუბრისპირდნენ. მე პირადად აღენ დელონისა და ქეთრინ დენევის აზრს ვცემ პატივს და არა

დაბლზე, რასაც მათი მონინააღმდეგეები აკეთებენ. ხალხი ჩავარდნილია ამ დილეგში და გარედან დაუხმარებლად, გამოსვლის არანაირი შანსი არა აქვს.

აბა რა უნდა მოვთხოვო ხელისუფლებას, რომლის პიარიც დავალებული აქვს ხალხს, ვინც, თამამად შეიძლება ითქვას, წერა-კითხვა არ იცის.

მაგალითისთვის მოვიყვან ფრაზას იუსტიციის სამინისტროს და სპეციალუ-



ენ. „ჟურნალ“ შარლი ებდოს, ზუსტად ისევე, როგორც ბატონი გიორგი ოთხმეზურის და თემურ ჩალაბაშვილის შეხედულებები უფრო მისაღებია, ვიდრე ვინმე დავით ზურაბიშვილისა და ნოდარ ხარშილაძის.

სამწუხაროდ, ვხვდები, რომ ხელისუფლებას ამ ყველაფრის გამოსწორება არ შეუძლია. არ შეუძლია თუნდა იმიტომ, რომ თან ეწინიან, თან გარკვეულწილად ეთანხმებიან ენ. „ცივილურებს“.

არ შეუძლიათ იმ ნორმალური ადამიანების ჯგუფებსაც, რომლებსაც რეალურად ანუხებთ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა. არ შეუძლიათ თუნდაც იმიტომ, რომ ეს ადამიანები არ არიან თავხედები და საინფორმაციო სივრცის მოსაპოვებლად არ წავლენ ისეთ სიმ-

რი პენიტენციური სამსახურის განცხადებდან, რომელიც მათ „რ-2“-ზე გასული სიუჟეტის პასუხად გამოაქვეყნეს – „მოცემული თანამშრომელი ასევე ცნობილი გახლდათ ალკოჰოლური სასმელის მოყვარულობით.“

იუსტიციის სამინისტრომ სიტყვებით „მოცემული თანამშრომელი“ და „ალკოჰოლის მოყვარულობა“, ფაქტობრივად, გაანადგურა არა მარტო „რ-2“-ის სიუჟეტი, ქართული ენაც ზედ მიაყოლა (პირველი ნაწილი ცხადია, ირონიით დავწერე, მეორე კი ტკივილით).

ის ტექსტი მეტჯერ ველარ წავიკითხე და ნეტა სიტყვები „კომუნიცირება“ და „ორკესტირებული“ თუ გამოიყენეს? ერთი ფილოლოგი პატიმარი არ ზის ციხეში?

როგორ გინდა, ებრაელი ნაციზის უმსგავსობას, როცა გაუნათლებელ თამბაქოთა ზეიმია სახელმწიფო დანახარებაზე?

ცხადია „რ-2“ აღფრთოვანებასა და თვითღმინის ნინიტიანი-ვაზა, თავად გააპონტროლოს სახარტიველოს საელჩოში.

პირდაპირ ვიტყვი: ძალიან კარგი მან ქალბატონმა სალომემ ის სულიდარულად დაბნეულების და უსამართლობის ბუდე რომ შეაჯანჯღარა.

ნარსულზე ბევრს არაფერს ვიტყვი, მაგრამ შეგახსენებთ ამ ბოლო დროს განვითარებულ ამბებს, როცა ყველამ ნახა, რომ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მარტო ბოკერვილების არასამთავრობოები და გიორგა კანდელაკი მუშაობენ, ხოლო თუ რა ინფორმაციებსაც აწვდიან, როგორც იქნა, საჯარო გახდა.

კარგად ვიცნობ ამ თემას, რადგანაც საელჩოებზე კვირაში რამდენჯერმე ვლაპარაკობდით რადიო „საქართველოს ხმაში“, გადაცემა „პრეს-რევიუში“. ჩართვები გვქონდა ჩხეტიდან.

საელჩოები არა კვატი! ყავის მოდულეზაც არ იციან და წესიერ შოპინგებსაც ვერ ატარებენ. მაიცათ რა!

იმდენად ჩათლახები (არაკორექტულობაში არ ჩამომართვთ. ეს სიტყვა თვით „საქართველოს მესამე პრეზიდენტმა“ თქვა გვარამიას გადაცემაში) არიან, რომ „რ-2“-ს შიდა წარმოების ინფორმაციებსაც გადაცემენ. მაგალითად უკრაინიდან 2014 წელს საელჩოსგან მიწოდებული საინფორმაციო ინფორმაცია პირის დეპორტაციის დროისა და მისი პირადი მონაცემების შესახებ.


შეფუტხუნდნენ ციყვები და დაინყეს ბალაშვილთან კაკლების აქეთიქით გორაობა. სათქმელი რომ არაფერი აქვს, ბოკერიამ ვანოს შოუს ნარატივი – „ბიძინასა და სალომეს ხუშტურების“ გამოორება დაიწყო.

ეჰ, ჩემო ხელისუფლებავ, კიდევ ერთ რჩევას მოგცემთ: შეეშვით ტყუილ ქიჩმასს, არაფერი გამოგდით, ვერც ვერაფერს ხეირიანს ამბობთ და ხალხსაც აწერვიულებთ.

სჯობს, ისევ ნატოს ღია კარზე ილაპარაკოთ.

არც ლილაკი სჭირდება, არც აკუსტიკა და რაც არ უნდა თქვათ, კაციშვილი არ ჩაგეძიებათ. ნაცივი იტყვიან, ჩვენ გავაღეთო, თქვენ თქვით – არა ჩვენო და გაერთობით ეს ორი წელიწადი. მერე სხვა რამეს მოვიფიქრებთ.

დაბოლოს: ერთი რამ არ მინდა, უთქმელი დამრჩეს: კვირის გადაცემაში გვარამია რომ „დედამოტ...ული“, „დედამოტ...ული“ წამდაუნემ იმეორებდა, მისი მენყვილე ეკა კვესიტაძე სიამოვნებისგან ვირთაგვასავით ხითხითებდა და ნათქვამს სულ ჯანში უშვებდა. ამ დროს ის თვით გვარამიაზე ბილნი და საძაგელი იყო... დედაკაცს დამიხედეთ!..



ბიბა ბაზრიშიძე

## სააკაშვილი პოროშენკოს მოქალაქეობის აღდგენას სთხოვს

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტს პეტრო პოროშენკოს მიმართავს და საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურამდე მისთვის მოქალაქეობის აღდგენისკენ მოუწოდებს.

„შეუძლებელია, აღადგინოთ კანონიერება? დამიბრუნოთ ჩემი უკრაინული პასპორტი და შემისვით უკრაინაში? თუ თქვენ არ გეშინიათ, თუ თქვენ მართლაც ასეთი მამაცი ხართ და გადაწყვიტეთ, შეიცვალოთ, გაქვთ შესაძლებლობა, ასე მოიქცეთ“, – განაცხადა სააკაშვილმა Facebook-ში განთავსებულ ვიდეომიმართვაში.

ამასთან, მან აღნიშნა, რომ

ამისთვის პოროშენკოს 24 საათს არ მისცემს. „თქვენ ჯერ საკმარისი დრო გაქვთ პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურამდე, რათა მოიქცეთ კანონისა და საერთაშორისო სამართლის მიხედვით. ველოდები თქვენს გადაწყვეტილებას...“

მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობა 2015 წლის მაისში მიიღო, რომელიც პოროშენკომ 2017 წლის ივლისში ჩამოართვა. 2018 წლის 12 თებერვალს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი კიევში დააკავეს და პოლონეთში გააძევეს. უკრაინის სასაზღვრო სამსახურმა მას ქვეყანაში შესვლა 2021 წლამდე აუკრძალა. უკრაინის პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური 21 აპრილს იმართება.



# და დარჩა სოცსულ მაბალოთად

## სოციალური უსუსურობა

ცნობიერების დიდი გამოცანა სიბერე.

ხანსულელები, მოხუცები სჭირდებათ ბავშვებს, იშვიათად ახალგაზრდებს, საზოგადოებას კი გართულება აქვს მათთან.

ამ დროს თავისი გამოცდილებით, სიბრძნით, ხანსულეების საზოგადოებისგან განცალკევება დიდი შეცდომაა.

ეს იმით შესაძლებელია, ვინც კიდევ შემოვრჩით ამ ქვეყანას და ჯერ კიდევ მთლად დაკარგულად არ ვგრძობთ თავს.

ამით თავს ვიმშვიდებ. მაგრამ ჩვენ ხომ ვინცნით, რომ ჩვენი თაობა გარიყულია, ხელი რომ გამოგვიწოდოს, ცოტა ვინმე ამქვეყნად. მაგრამ იმედი მაინც რჩება: და ეს იმედი ის ადამიანებია არიან, ვინც დავეკარგეთ, მაგრამ ჩვენს რიგებში დარჩნენ და იმით სახელს ვერ დაჩრდილავს დრო, როგორც სულგანათლებული ნიკა აგიაშვილი იტყვობდა – „ისინი ახალგაზრდებზე დარჩნენ მარად“.

მაინც ვინ იყო ჟიული შარტავა, ახალგაზრდა კაცი, თავგანწირვით რომ შემორჩა თავის ხალხს და ქვეყანას.

ჩემთვის ინსტიტუტის მეგობარია, სტუდენტობის მეგობარია.

ახალგაზრდობის ლიდერი, საჩვენებელი და სამაგალითო პიროვნება.

ავტობიომედიის ფაკულტეტზე ის პირველი რიგში იყო თავის გარემო შემოკრებილი დარჩეული ბიჭებით, რომელთა შორის იყვნენ – ჯემალ კუხალაშვილი, ვაჟა შუბლაძე, მეგობრად გაბესკირია, რამაზ ხუროძე, თემურ იმედაძე, ავთო გოგობერიძე, თემურ ჩხატარაშვილი, იუზა ვერულავა, ჯუმბერ ლეჟავა, მერაბ ახობაძე, მურმან მაჭარაშვილი, ზურაბ ერქვანიანი.

პიროვნულად ორგანიზატორი, ყამირ მინაშვი – სპონსორი, 650-კაციან რაზმს თვითონ მე-

თაურობდა. კომისრებად კი იყვნენ ვაჟა შუბლაძე და გოგი ციბაძე. ამ ახალგაზრდებმა პირნათლად შეასრულეს დავალება და კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩანერეს საქართველოს ახალგაზრდობის ისტორიაში.

კომკავშირულ ქალაქსა და რუსთაველში განუვლი ღვანლი ხომ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის დიდი ფურცელია.

მომთხოვნი უპირველესად თავისი თავისადმი, მერე თანაგუნდელებისა და მეგობრებისადმი.

ბუნებით ღია, თბილი, მუდამ რომ გიზიდავდა და სიკეთისთვის ბრძოლას შთაგაგონებდა.

ის ერთგულებით ჩვენი დიდი თანამემამულეების გვერდში დადგა. მიმდრობი, მის მოქმედებაში არჩეული მეგობრისადმი გადახვევის გზა არ არსებობდა. და ბოლომდე დარჩა ასეთად.

მომსმენი, კრიტიკული უპირველესად თავის თავის მიმართ.

ის მწარედ განიცდიდა აფხაზეთის ტრაგედიას. ეძებდა მისი მოგვარების გზებს, იყო მუდმივ ძიებაში, ეძებდა მოკავშირეებს და პოულობდა კიდევაც.

და სწორედ ეს არ აპატიეს. მე არა ვარ ისეთი მიაშიტი, ვინმეუნო, რომ ის უბრალოდ ვილაცხა აფხაზმა „ბოვიკმა“ დახვრიტა. ბუნებაში ასე არ ხდება, ოდნავ მაინც ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ბრძანება იყო, იმათი, ვისაც გულით ეწადა აფხაზებისა და ქართველების შეურიგებლობა.

ვეშაპივით დიდ და სტომაქამოუხეხებელ იმპერიას როგორ მოვერეოდით!

საქართველო კი სწორედ რუსეთის მეშვეობით ფიქრობდა და ცდილობდა ამ კრიზისიდან გამოსვლას და პრობლემის მოგვარებას.



მარცხნიდან: პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობა: სხადან – ჟიული შარტავა, მერაბ მბალაძე, რამაზ გოგობია, ასლან სივაძე, დიანა: ბრიგოლ შონია, ნუზარ ნანეიშვილი

ვაი რომ, გადაუნყვებელი პრობლემები სულ უფრო გვემატება და გვიგროვდება, მაგრამ მაინც გვეყვარა მომავლის, ჩვენ ვიცით, რომ საბოლოოდ მარცხი, რომლის მთავარი მიზეზი არა მხოლოდ რუსეთის ცბიერი პოლიტიკა იყო, არამედ ქართველთა გულუბრყვილობაც, და რუსეთისადმი სარწმუნოებრივ-ქრისტიანულ ნიადაგზე წარმოშობილი ნდობა, მაინც იმედის თვალთ ვუყურებთ მომავალს, რადგანაც დრო კიდევ გვაქვს ბევრი რამის გასარკვევად და, რაც მთავარია, ჩვენი სისხლბორცეული ამოცანების მოსაგვარებლად.

მას სჭირდებოდა გვერდში მდგომი სანდო ადამიანები და ეძებდა კიდევ.

მას სჭირდებოდა მრჩეველი, სოჭში მოლაპარაკებების მსვლელობისას, ის განიცდიდა დიდ ზემოქმედებას, პასტუხოვი და შოიგუ მოაველინა რუსეთმა ამ ფარისევლური ამოცანის შეასრულებლად, და ულმოზელი იყო ზემოქმედება, წნეხი, რომელსაც შედეგად აფხაზეთში რუსული ჩექმა მოჰყვა (სოჭის მოლაპარაკებების ამბებიც ცალკე თემაა და მასზე შემდეგ).

დაბოლოს, ის დარჩა თავისი ერთგული თანამებრძოლებიდან და მან თავი განიარა, რათა მტლად დასდებოდა ქვეყანას.

ის კი არ გაეცალა ბრძოლის ველს (ზოგიერთებისთვის), არა-

მედ უყოყმანოდ გადაეშვა უთანასწორო ბრძოლაში.

თურმე მართლაც დიდია კაცი, თუ თავისი ქვეყანა უყვარს უანგაროდ და სიცოცხლესაც არ იშურებს მისთვის, ჟიულის შემადრწუნებლად უყვარდა საქართველო.

ის თავგანწირული მოღვაწეა, რომელიც არ ზრუნავდა თავის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის, მას თავისი თავი სრულიად ავიწყდებოდა და სიცოცხლეს ჩვენს საერთო საქმეს ახმარდა და ბოლოს ხომ სიცოცხლეს ანაცვალა თავისი ქვეყნის საქმეს. მისი თავგანწირვა საუკუნეებს შერჩება.

ის ყველაფერს აკეთებდა, რათა ძალაუფლება, ქვეყანა ხელში არ ჩაეგდო გარედან მართულ ძალას და თავგამოდებით იბრძოდა ეროვნული ძალთა გაერთიანებისთვის. მისი დამოკიდებულება აფხაზეთთან – (მიუხედავად საომარი მოქმედებებისა) იყო მხოლოდ კეთილმსურველი. ის ყველაფერს აკეთებდა აფხაზეთთან კავშირის დამყარებას, მაგრამ ეს გარკვეულ ძალებს ხელს არ აძლევდა.

ადგილობრივ საზოგადოებასთან ურთიერთობაში აშკარად ხედავდა, რომ იყო რესურსები, მაგრამ საბედისწეროდ გამოუყენებელი.

იყო და, მით უმეტეს, ახლა არის პოტენციალი, მაგრამ მოქმედებაში მოყვანა სჭირდებო-

და და სჭირდება. მაინც რა შიშის განსაკუთრებულობა.

მე მაინც მგონია, რომ ეს უპირველესად მისი აზროვნება იყო.

ის აზროვნებდა იმ სახელმწიფო მოღვაწის დარად, ვისთვისაც მიუღებელია ქვეყნის ბედით მანიპულირება.

მას მთელი გულით უყვარდა საქართველო.

ეს ყველაფერი მან ოჯახში აითვისა, ის პატიოსნებით განთქმული გვარის ნაშვირია, კეთილშობილი დედა-მამის შვილი, იმ ოჯახში აღზრდილი, სადაც უხუცესთა სიტყვას ფასი ჰქონდა.

და ის უყოყმანოდ ჩადგა ქვეყნის სამსახურში.

და ამ სამსახურში ის არასოდეს შერცხვნილა.

ღირსეული იყო მისი განვლილი ცხოვრება და ამ ღირსებისთვის ბრძოლას შეენიარა კიდევც.

შენიარა და ქვეყანამ დაკარგა თავისი დიდი ჭირისუფალი. საქვეყნო გადასახედიდან ჟიული დარჩა კავშირის ვარსკვლავად ქართული ცის კაბადონზე. და ვერაფერი ვერ ამოშლის მის სახელს ღირსეულ ქართველთა სიდიდან.

სამუდამო მოგონება ჟიული შარტავას!

**ბრიგოლ შონია,**  
11 მარტი, 2019 წ.  
გ. 599 97 46 44

# რას უკავშირდება აფხაზეთის მოსაზღვრე სოფელ წყოუში ახალი ხიდის მშენებლობა?

მდინარე ენგურზე, 224,4-მეტრიანი სიგრძის, ახალი ხიდი შენდება, რომელიც სოფელ ლიასა და წყოუშს ერთმანეთთან დააკავშირებს. კომერსანტის ინფორმაციით, ხელშეკრულება გამარჯვებულ კომპანიასთან შპს



Construction Service უკვე გაფორმებულია და მშენებლობა, რომლის ღირებულებაც 4 598 906 ლარია, უახლოეს მომავალში დაიწყება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ორ სოფელს ლიასა და წყოუშს შორის დღეს არსებული ხიდი დაზიანებულია და იგი სატრანსპორტო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ გადაწყდა ახალი ხიდი აშენება და ხიდთან მისასვლელი გზების მოწყობა, – აცხადებენ სამინისტროში.

თუმცა, ხიდის მასშტაბურობა ადგილობრივ მოსახლეობას დამატებით კითხვებს უჩენს. სოფლების გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, წყოუში პირდაპირ ესაზღვრება ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიას, ადგილობრივები ფიქრობენ, რომ ხიდი შესაძლოა, ე.წ. გამშვები პუნქტის მშენებლობასთან იყოს დაკავშირებული. მათი ვარაუდით, არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ახალ ხიდზე განახორციელოს შვეიცარიულმა კომპანიამ „ეს ჯი ეს“ (SGS) საქართველო-რუსეთს შორის ტვირთების საბაჟო მონიტორინგი. როგორც ცნობილია, 2011 წელს საქარ-

თველო-რუსეთს შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმების საკითხი, ცოტა ხნის წინათ გააქტიურდა.

განთავსდება თუ არა ლია-წყოუშის დამაკავშირებელი ხიდი საქართველო-რუსეთს შორის ტვირთბრუნვის მონიტორინგის ფაქტზე, ამის შესახებ „კომერსანტმა“ ინფორმაციის გადამოწმება საგარეო სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროში სცადა, საიდანაც პასუხს ამ დრომდე ველოდებით.

ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციას არ ადასტურებენ ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში. ნალენჯიხის მერი ბესიკ ფარცვანია აცხადებს, რომ ძველი ხიდი ამორტიზირებულია და ავარიულ მდგომარეობაშია, სწორედ ამიტომ გადაწყდა ახალი ხიდის მშენებლობა. ბესიკ ფარცვანიას თქმით, ხიდი ორი მიმართულებით ავტომობილებსაც ვერ ატარებდა. რაც შეეხება ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ხიდი შეეცდარა კომპანია საქართველოსა და რუსეთს შორის ტვირთბრუნვის მონიტორინგს განახორციელებს, ნალენჯიხის მერი ამბობს, რომ ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

ზაზო ალაშია

# საპენსიო სქემიდან გასვლა აზიანებს თავად მონაწილეებს

„საპენსიო სააგენტოს დაინტერესება ნულია, ადამიანი დარჩება თუ არ დარჩება სქემაში. სქემამ რომ იმუშაოს, ამისთვის სავალდებულო წესით გაწვევები უნდა იქონიებდეს და ამის დასაყრდენად საკმარისია. გასვლა აზიანებს თავად მონაწილეებს“, - აცხადებს საპენსიო ფონდის დირექტორის მოადგილე მუშა ჯაფარიძე.



მუშა ჯაფარიძე. ის თვლის, რომ მსჯელობა დაგროვებითი საპენსიო რეფორმის ავტორიტეტს უკვე დაგვიანებულია, რადგან ის უკვე ამოქმედებულია. მისი შეფასებით, მცდარია სქემის დატოვების გადაწყვეტილება, თუმცა მათთვის, ვისაც ამის უფლება აქვს, ის „დილის საუბრებში“ განმარტავს პროცედურებს:

„კანონით განისაზღვრა, რომ დაგროვებითი საპენსიო სქემაში შესვლიდან 5 თვის ფარგლებში, არა უადრეს 3 თვისა, შესაძლებელია საპენსიო სქემის დატოვება (იმ მოქალაქეების მიერ, რომლებსაც კანონის მიღებამდე შეუსრულდათ 40 წელი - ნ.გ.). ეს არ ნიშნავს ხელფასის ჩარიცხვის თარიღიდან სამ თვეს, არამედ იმ მომენტიდან სამი თვის შემდგომ პერიოდს, როცა პირს დასაქმებულმა გაუხსნა საპენსიო ანგარიში და პირველი დანაზოგი განხორციელდა.“

როგორ უნდა განსაზღვროს საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებულსა და შენაძნელად გასვლის თარიღი?

„აღნიშნული თარიღები მითითებულია თითოეული მონაწილის

გვერდზე, რომელიც არის საპენსიო სააგენტოს საიტზე. უნდა შევიდნენ pensions.ge-ზე, სადაც სახელის და პაროლის აკრეფის შემდეგ მოხვდებიან თავიანთ გვერდზე. სახელსა და პაროლს თითოეულ მონაწილეს აძლევს დამსაქმებელი პირველივე ჩარიცხვისთანავე. საპენსიო ანგარიშის გახსნისას, ყველა დამსაქმებელს გამოუჩნდება მონაწილის სახელი და პაროლი, რომელიც უნდა გადასცეს მონაწილეს. ამის შემდეგ მონაწილეს შეეძლება შეამოწმოს თქვენ მიერ დანაზოგი, დამსაქმებლის მიერ დამატებული და სახელმწიფოს მიერ მესამე 2%-ის ჩარიცხვა.“

იმის დასტურად, რომ 40 წელს ზემოთ დასაქმებულთა სქემაში ჩართვა ნებაყოფლობითია, ვაჟა ჯაფარიძის სქემის დატოვების უფლებას ასახელებს. რატომ არის საჭირო ამ უფლების განხორციელებისთვის სქემის მონაწილის პირადად მისვლა საპენსიო სააგენტოში ან მის ოფისებში და რატომ არ შეიძლება ამის გაკეთება ელექტრონულად? ამის საჭიროებას ვაჟა ჯაფარიძის ხსნის ორი ფაქტორით:

„ეს არის მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ მათ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება და აგრეთვე გასათვალისწინებელია ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც არის მონაწილესა და დამსაქმებულს შორის სისტემის დატოვებასთან მიმართებით.“

ამ სქემაში მონაწილეობის შენარჩუნებით დაინტერესებული მხარე არის დასაქმებული. თუკი ჩვენ განცხადების დაწერას დამსაქმებელთან გადავიტანდით, ის დაინტერესებული მხარე გამოდის, რომ არ იყოს მონაწილე და ცოტა გადაიხადოს.“

თუ საპენსიო სქემის მონაწილე არ იმყოფება საქართვე-

ლოში დროის იმ ორთვიან მონაკვეთში, როცა მას სქემიდან გასვლის უფლება აქვს მინიჭებული, შეუძლია სანოტარო აქტის საფუძველზე მინდობილობა გაუფორმოს მესამე პირს, რომელიც მის ნაცვლად დაწერს განცხადებას სქემიდან გასვლაზე.

რამდენი თანხა დაბროვილი საპენსიო რეფორმის შედეგად? სად არის ეს თანხები და ვინ განაწილებს მას? საპენსიო სააგენტოს დირექტორის მოადგილის თქმით, დღეისთვის საპენსიო ფონდში დაახლოებით 125 მილიონი ლარია აკუმულირებული. ფონდის საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და განკარგვა საინვესტიციო საბჭოს მოვალეობაა, რომელიც ვერ არ შექმნილა. საინვესტიციო საბჭოს წევრების შესარჩევად გამოცხადებულია საერთაშორისო კონკურსი.

შეგროვებული 125 მილიონი ლარი დევეს საპენსიო სააგენტოს ანგარიშებზე იმ ბანკებში, რომლებშიც სქემის მონაწილე დასაქმებულებს აქვთ სახელფასო ანგარიშები.

ვიდრე საქართველოს პარლამენტი საინვესტიციო საბჭოს წევრებს დაამტკიცებს, ამ თანხების ინვესტირება ვერ მოხდება. ამასთან, ვაჟა ჯაფარიძის „დილის საუბრების“ აუდიტორიას განუმარტავს, რომ ვერ არ არის შეგროვებული „საინვესტიციოდ მომნიშვნელო თანხა“.

რადიო თავისუფლების შეკითხვაზე - „გამოდის, რომ საბჭოს შექმნამდე ეს თანხა „მუთაქაში დევეს“ გამოუყენებლად?“, - ვაჟა ჯაფარიძის უპასუხებს: „აღნიშნული თანხა დევეს იმ ბანკში, სადაც ხელფასი გერიცხ-



ბათ, ანუ უპროცენტოდ გადატანილია საბანკო ანგარიშებზე. მას არავინ იყენებს. როგორც ბანკში შეტანილ თანხას, ბანკის პროცენტს იყენებს საპენსიო სააგენტოს მიერ ეს თანხები გადატანილია საბანკო ანგარიშებზე და ერიცხება პროცენტი. ხოლო საინვესტიციო საბჭო მომავალში განსაზღვრავს აღნიშნული თანხების ინვესტირების პროცედურებს.“

რეფორმის დაწყებიდან 5 წლის განმავლობაში საპენსიო ფონდში აკუმულირებული თანხები უნდა განთავსდეს დაბალრისკიან (შესაბამისად, დაბალპროცენტულ) პორტფელში.

რაც შეეხება საპენსიო ანგარიშზე თანხის დაგროვების სქემას, სააგენტოს დირექტორის მოადგილე „დილის საუბრების“ ეთერში მას ასე აღწერს: „როცა 2-2%-ზე ვსაუბრობთ, მონაწილის მიერ შენატანი სინამდვილეში 2% არ არის, არამედ 1,6%-ია. 1000 ლარის მაგალითზე რომ განვიხილოთ, მონაწილის 2% უდრის 20 ლარს და ის უგროვდება ყოველთვიურად თავის ანგარიშზე. სინამდვილეში მას რომ აეღო ხელფასად აღნიშნული 20 ლარი, უნდა დაბეგვროდა 20%-ით და აიღებდა 16 ლარს. დამსაქმებელსაც ასე უნევს - 16 ლარის

დაზოგვა საპენსიო ანგარიშზე გადასატანად და სახელმწიფოს უნევს 2,8%-ის გადახდა. ასე რომ, როცა 16 ლარიდან 60 ლარი გვიგროვდება, ეს არის 275%-იანი მატება. საპენსიო სქემაში სახელმწიფოს ამგვარი მონაწილეობა მსოფლიოში დაახლოებით 5 ქვეყანაშია. აღნიშნული ფორმულაც ექსპერტების მონაწილეობით არის დადგენილი.“

ვაჟა ჯაფარიძის განცხადებით, საპენსიო ფონდის შექმნის მთავარი იდეა მხოლოდ საპენსიო უზრუნველყოფა არ არის: „უახლოეს პერსპექტივაში ჩვენ ყველანი ერთად ვიგრძობთ - ეს არის კაპიტალის ბაზრის შექმნა ამ შეგროვებული ფულით და კაპიტალის ბაზრის განვითარება. ეს ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებას, ისეთ განვითარებას, როგორც ვერ საქართველოში არ ყოფილა. არც ერთ ქვეყანაში ეკონომიკის მყისიერი ზრდა არ მოხდარა, სადაც საპენსიო ფონდის დასაწყისი არ ყოფილა.“

ვაჟა ჯაფარიძის ინფორმაციით, 1 აპრილიდან დღემდე საპენსიო სქემა 20-მა მონაწილემ დატოვა.

ინო გელაშვილი

## ქალები კაცებზე დიდხანს სხოვრობენ...

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ახალი ანგარიშის მიხედვით, ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა კაცების მთელი მსოფლიოს მასშტაბით აჭარბებს. ეს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური კვლევაა, რომელიც გაეროს ჯანდაცვის ორგანიზაციამ ჩაატარა. მისი შედეგები 7 აპრილს გამოქვეყნდა.

განსხვავება ორი სქესის სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის ყველაზე ნაკლებია დაბალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში, სადაც ქალებს ჯანდაცვის მინიმალურ საშუალებებზე ხელი არ მიუწვდებათ. და პირიქით: განვითარებულ ქვეყნებში ქალები კიდევ უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე კაცები.

ანგარიში დანერგვით მიმოიხილავს კაცების სიცოცხლის ნაკლები ხანგრძლივობის მიზეზებს, რომელთა შორის სახელდება როგორც ბიოლოგიური, ასევე საზოგადოებრივი და გარემოს დაბინძურების ფაქტორები. დეამონაზე სიკვდილიანობის გამოწვევი 40 მიზეზიდან, კაცებზე 33 მოქმედებს. განსაკუთრებით შემავფოთებელია

სუიციდის მონაცემები. კაცებში თვითმკვლელობის ფაქტები 75%-ით მეტია, ვიდრე ქალებში. ასევე მაღალია საგზაო შემთხვევებში დაღუპვის და მკვლელობით სიცოცხლის დასრულების ალბათობა.

გაეროს ახალი ანგარიში მიეძღვნა 7 აპრილს, მსოფლიო ჯანდაცვის დღეს.

www.amerikiskhma.com



## „პართ მიტოვებული და არაპინ გვეხმიანება, აქ შეიძლება, ნებისმიერ დროს ომი დაიწყოს“

ლიბიაში საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი 23 წლის დავით რაზმაძის საქმეზე გამოძიება გრძელდება. ხომალდ „დოგან ბეიზე“ რაზმაძისთან ერთად მყოფ პირებს ლიბიელი სამართალდამცავები ქვეყნის დატოვების უფლებს არ აძლევენ, მათ შორის არიან საქართველოს მოქალაქეები რაულ ტაკიძე და მანუჩარ კეკელიძე, ისინი ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ.

„სამი თვე გავიდა უკვე, რაც გამოძიება და მე მგონი, ჩვენი უფლებები ირღვევა. პასპორტები მათ აქვთ წაღებული, არ გვიბრუნებენ და საქართველოდან არავინ არ გვკითხვოვს. არც საგარეო საქმეთა სამინისტრო, არც საელჩო, ასე ვართ მიტოვებული და არავინ არ გვეხმიანება. მოვითხოვთ, რომ ჩვენი პასპორტები დააბრუნონ, გამოძიება დაასრულონ, იმიტომ, რომ უკვე ძალიან დიდი ხანია გასული და დაგვარბუნონ საქართველოში. ძალიან ცუდი სიტუაციაა, ლიბიაში ვიმყოფებით და აქ შეიძლება, ნებისმიერ დროს ომი დაიწყოს,“ - აცხადებს ქართველი მეზღვაური რაულ ტაკიძე. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ინფორმაციას ფლობენ დიპლომატიური უწყების ცნობით, ქალაქში, სადაც ამ დროისთვის საქართველოს მოქალაქეები იმყოფებიან, სიმშვიდეა და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.





# სქესობრივი აღზრდა დიალას საჭიროა!

## ღია წერილი ქალბატონ სოფიო კილაქას

**ქალბატონო სოფიო!**  
 თქვენი ინტერვიუ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ (27 მარტი, 2019 წ.) სქესობრივი აღზრდის თაობაზე, სიმციროს მიუხედავად, ძალზე დიდი, მტკივნეული და მნიშვნელოვანი საკითხს ეხება.

სამწუხაროდ, ამ თემაზე მომუშავე მეცნიერთა რიგები ძალზე შეთხვავებულია, ცოტანი დაერჩიო; ალბათ, ამის მიზეზია, რომ თქვენს გამოსვლას ემჩნევა კონსულტანტების სიღარიბე (არ გეწყინოთ, თქვენ არც გევალებათ ამ რთული საკითხის მეცნიერული ცოდნა).


ისე, როგორც ყველა სიახლეს, ამ საკითხსაც, მისი წამოჭრისთანავე, ნებისმიერ უნებლიეთ, „ხიშტებით“ შეხვდა ჩვენი გაუცნობიერებელი საზოგადოება, განსაკუთრებით არასამთავრობოები; მათ სურთ, გვყავდეს ისეთი მომავალი თაობა, რომლის სქესის გარკვევას მარჩიელობა დასჭირდება; არარაღ ჩააგდონ შემთხვევითი სქესობრივი კავშირები და ჰომოსექსუალიზმი. ეს კი ჩვენს ახალგაზრდობას სრულ გადაგვარებას, გადაჯიშებას და იმპოტენციას უქადის.

ამ გაუგებრობის და ქაოსის ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჩვენ ერთმანეთისგან ვერ გავგირჩევია ორი განსხვავებული ცნება: „სქესობრივი განათლება“, რომელსაც სკოლასთან არაფერი აქვს საერთო და მხოლოდ მონივრულად ამიანებს, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს სჭირდება და „სქესობრივი აღზრდა“, რომელიც ადრეული ბავშვობის ასაკიდან უნდა დაიწყოს და განვადგინოთ სკოლაში, სრულწლოვნებამდე.

სქესობრივი აღზრდის თემა არ ახალია, მას მე-19 საუკუნეში ცივილიზაციის მოძალტვის კვალობაზე დაედო სათავე და მისი მიზანი იყო ჯანსაღი, ასაკის მიხედვით გაცნობიერებული, დროის შესაფერისი ახალგაზრდობის აღზრდა. ამ თემაზე გამოვიდა მრავალი წიგნი, სახელმძღვანელო და ნაშრომი, დაცულია დისერტაციები, რომელთა ავტორები არიან მსოფლიოში სახელგანთქმული და აღიარებული მეცნიერები. ყველა ერთსულოვნად მოგვინოდა, რომ სქესობრივი აღზრდა უნდა დაიწყოს რაც შეიძლება მცირე ასაკიდან, რა თქმა უნდა, ბავშვის გონებრივი და ფიზიკური განვითარების შესაბამისად და გულდასმით და ტაქტიკურად უნდა განვადგინოთ ეს საქმე პიროვნების სრულ ჩამოყალიბებამდე. ამას ახლაც აკეთებს მსოფლიოს ყველა მონივრულ ქვეყანა.

სქესობრივი აღზრდა არ ნიშნავს ახალგაზრდობის გარყვნილებისაკენ მონოდებას, როგორც ამას ხმამაღლა

გაიძახიან უმეცარი მშობლები და უმნიშვარი გოგო-ბიჭები, ჰაიჰარა ჟურნალისტები და დილექტანტები. სრულიად პირიქითაა. სქესობრივი აღზრდით ასაკის შესაბამისად დავაკმაყოფილებთ ბავშვის და მოზარდის მოზღვავებულ ცნობისმოყვარეობას, შთაფუნერგავთ რწმენას და ჩვევებს, რომლებიც მას ააცილებს ნაადრევ სქესობრივ კავშირს, ქორწინებას და, რაც მთავარია, გარყვნილებას, პროსტიტუციას, ვასნავლით თუ რა საშინელი შედეგები მოსდევს გადახრებს და მავნე ჩვევებს.



მოზარდთა ე. წ. „ქარიშხლის და ვნებების პერიოდი“ ყველას განგვიცდია, განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში, როცა ბავშვის ორგანიზმში არსებული ფიზიოლოგიური გარდაქმნები, მომწიფების პირველი ნიშნები ცვლის მის ფსიქიკას, მგრძობიარეს ხდის, დეპრესიაში აგდებს, იგი თვლის, რომ სქესობრივი მომწიფების ნიშნები, რაც მას გააჩნია, არის არა ჩვეულებრივი, ყველა მოზარდისთვის დამახასიათებელი, არამედ განგების მიერ მასზე დატეხილი რაღაც სენი და უბედურება. თავის განცდებს ხშირად ვერ უმხელს ვერც მშობლებს, ვერც პედაგოგს, რადგანაც მათგან დატუქსვას და შეურაცხყოფას, რაც მთავარია, არაკვალიფიციურ ახსნას მოელოს. იძულებულია, მის გასაჭირზე ქუჩაში შემხვედრისგან ან შემთხვევითი პირისგან მიიღოს პასუხი. ქუჩის „მასწავლებელი“ როგორც მოიქცევა, ეს ყველათვის გასაგებია და სწორედ აქედან იწყება სქესობრივი აღვირახსნილობა

თავისი შედეგებით, რაზეც ზემოთ ვთქვით.

თქვენ ძალზე დიდ სიფრთხილეს იჩენთ, როცა ამბობთ, სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები მშობლების თანხმობით ჩავატაროთ. ამაში ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით, რადგანაც სქესობრივი აღზრდის გაკვეთილი სკოლის სავალდებულო სწავლების სიაში უნდა იყოს. მაშინ რატომ არ ვეკითხებით მშობლებს სხვა საგნების სწავლებას? კი, ბატონო, ყველაზე მეტად შვილის კეთილდღეობა მშობლებს აინტერესებს და უკეთესია ეს გაკვეთილები ოჯახში ჩატაროს. მაგრამ საკითხავია, შეუძლია? მშობელთა უმრავლესობას წარმოდგენა

რომელთა ახსნა აინტერესებს მოსწავლეს; გადახტება მომდევნო თემაზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სქესობრივ აღზრდასთან.

ამგვარად, თქვენ მიერ დასმული პრობლემა უფრო რთული და ღრმაა, ვიდრე გვგონია. რა თანხმობა უნდა გამოვიცხადოთ მშობლებმა, როცა თავდაცვრ ერკვევიან საქმის სირთულეში, არ აქვთ შესაბამისი უნარ-ჩვევები და არ ესმით საკუთარი მოვალეობა?

ამ სფეროში ნებისმიერი დაუფიქრებელი ჩარევა, ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის (იუნესკოს) გადანიშნულებების ბრმად გადმოტანა და მიბაძვა დიდ საშიშროებას უქადის ჩვენს მომავალს და ჩვენს ცხოვრებაში ისტორიულად დამკვიდრებულ ადათ-წესებს. ეს საქმე დიდი ეროვნული შინაარსისაა, იგი სახელმწიფოებრივ ყურადღებას მოითხოვს. ამიტომ თქვენგან ჩვენი საზოგადოება მოითხოვს არა იოლ და არაფრისმთქმელ რჩევას (მშობლების თანხმობა), არამედ სახელმწიფო სტრუქტურებში, განათლების, ჯანმრთელობის სამინისტროებში შესაბამისი ქვედანაყოფის შექმნას, სკოლებში აღზრდელთა მომზადებას, პოლიკლინიკებში ბავშვთა და მოზარდთა კაბინეტების აღდგენას, მშობლების გათვითცნობიერებას და ა.შ.

მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ პირველ რიგში უნდა მოვაზადოთ მშობელი, პედაგოგი, ექიმი, გამოვკვეთოთ მათი ფუნქციები, მივანოლოთ ბავშვებთან დამოკიდებულების წესების და მეტოდების შემცველი დამხმარე სახელმძღვანელო. სახლიდან წასული და სკოლიდან დაბრუნებული ბავშვი თავის გულთბილ მეგობარს, მრჩეველსა და დამრიგებელს უნდა ხედავდეს მშობელსა და აღზრდელში, ენდოს მათ და თავი გადაირჩინოს ყოველგვარი შემთხვევითი პირების მავნე ზეგავლენისგან.

2016 წელს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციის – ფონდ „სოხუმის“ თხოვნით მოვამზადე 188-გვერდიანი წიგნი „ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის საფუძველები“ (დამხმარე სახელმძღვანელო მშობლების, პედაგოგების და სკოლის ექიმებისთვის). შესაბამისმა უწყებებმა, სკოლებმა და კერძო პირებმა დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს წიგნისადმი, მაგრამ, მცირე ტირაჟის გამო, როგორც ჩანს, მან ვერ მოაღწია თქვენამდე (იმის მიუხედავად, რომ პარლამენტის წევრებს ჰქონდათ თქვენთვის გადამოსაცემად), აგრეთვე იმ ადამიანებამდე, ვინც დაინტერესებულია, დაწეროს მონოდებული მეცნიერული რეკომენდაციები.

თუ ჩემ მიერ წამოჭრილი საკითხები დაიმსახურებს თქვენს ყურადღებას, მზად ვარ, ვითანამშრომლო და შევანოდოთ ახალი, შესწორებული და შევსებული დამხმარე სახელმძღვანელო და განვიხილოთ შესაბამისი კონსულტაციები.

### რამაზ სურმანიძე,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი  
 გელ: 577 44 44 43

## მე-12 კლასელებს სასკოლო გამოცდები გაუუქმდათ

მეთორმეტი კლასელებისთვის სასკოლო გამოცდები გაუქმდა – შედეგად „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებები შევიდა. მთავრობის ინიციატივას უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ კენჭი გუშინ მეორედ უყარა. გამოცდების გაუქმებას მხარი 80-მა დეპუტატმა დაუჭირა, რვა კი წინააღმდეგი წავიდა. შეგახსენებთ, რომ პარლამენტმა გასულ კვირას ორი მოსმენით მიღებული კანონპროექტი მესამე მოსმენაზე ჩააგდო, რადგან დეპუტატებმა ვერ გაიგეს, თუ რა კანონპროექტი განიხილებოდა, შედეგად მათ ლიაკები აერიათ.

## კახა ბასილიას 6-წლიანი პატიმრობა ემუქრება

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული სამუშაო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2018 წლის 18-22 აპრილს საქართველოს კარატეს ეროვნული ნაკრების წევრებისათვის თურქეთის რესპუბლიკაში ქალაქ სტამბოლში შოტოკანის მე-9 ჩემპიონატზე მონაწილეობის მისაღებად, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ სათანადო დაფინანსება გამოიყო. მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო



4 სპორტსმენმა, საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ 2018 წლის 27 აპრილს და 28 მაისს, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარადგინა ყალბი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც თურქეთის რესპუბლიკაში გამართულ ჩემპიონატზე თითქოსდა საქართველოს ეროვნული ნაკრების 10 დელეგატი იყო მივლინებული. ხსენებული გზით და სამინისტროს მოტყუებით, კახა ბასილია 6 მონაწილის გასამგზავრებლად გამოყოფილ, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კუთვნილ 10 441 ლარს დაეუფლა. აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის მას წარედგინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბრალდება, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ყველაზე „მტასეხელი“ ქართული ბანკების სუთიული

„საზომბადობას მინდა, შევასხენო, თუ რა მძიმე მდგომარეობა იყო რეგულაციების შემოღებამდე ფიზიკური პირების არაჯანსაღი დაკრედიტების კუთხით. ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და სხვადასხვა კომპანიებისა და ფინანსური ინსტიტუტების სრულიად უპასუხისმგებლო ე.წ. მტაცებლურმა, აგრესიულმა დაკრედიტებამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. 700 ათასი მოქალაქე უკვე გადახდისუნარიო აღმოჩნდა. გარდა ამისა, ასიათასობით ადამიანს მის შემოსავალთან შედარებით არაადეკვატურად მაღალი სესხები გააჩნიათ. ვიღებთ ძალიან ბევრ წერილს მოქალაქეებისგან, რომლებმაც უძრავი ქონება დაკარგეს ან დაკარგვის რისკის ქვეშ არიან გაუთვითცნობიერებლად მიღებული გადაწყვეტილებების გამო“, — განაცხადა კობა გვენეტაძემ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

ყველაზე მტაცებელი ქართული ბანკების რეიტინგი ასეთია:

**ეროვნული ბანკის პრაზიდენტმა ქართული ბანკების საკრედიტო პოლიტიკას მტასეხელი უწოდა.**



ოდა — ამ შემოსავალმა 612 445 856 ლარი შეადგინა.

2017 წლის მონაცემებით „თიბისი ბანკის“ სასესხო პორტფელის უდიდესი ნილი — 49% ფიზიკურ პირებზე მოდის.

**„საქართველოს ბანკი“**  
2018 წელს „თიბისის“ შემდეგ მოგების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „საქართველოს ბანკს“ აქვს, მისმა წმინდა

მოგებამ 2018 წლის მეოთხე კვარტალის ბოლოს 342 848 590 ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავალი 722 039 886 ლარი იყო.

„საქართველოს ბანკმა“ 2017 წელს კლიენტებზე ჯამში 7,7 მილიარდი ლარის სესხი გასცა, აქედან ფიზიკურ პირებზე 4,2 მილიარდი ლარი გაიცა, რაც მთლიანი სასესხო პორტფელის 55,6%-ია.

**„ლიბერთი“ ბანკი**  
2018 წლის მონაცემებით, მოგების მაჩვენებლით, „ლიბერთი“ ბანკი მესამე

ადგილზეა, მისი წმინდა მოგება 52 001 428 ლარი იყო. ამავე პერიოდში ბანკმა ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან 237 673 327 ლარი მიიღო.

2017 წელს „ლიბერთი“ ბანკმა 866, 551 მლნ ლარი გასცა, აქედან 99,5% ფიზიკური პირების დაკრედიტებაზე მოდის.

**„ბაზისბანკი“**  
„ბაზისბანკმა“ 2018 წლის მეოთხე კვარტალი 35 230 140-ლარიანი მოგებით დაასრულა. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან „ბაზისბანკმა“ 30 618 105 ლარი მიიღო.

„ბაზისბანკმა“ 2017 წელს 774,251 მილიონი ლარის ოდენობის სესხი გასცა, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები კი 157 მილიონ ლარს და საკრედიტო პორტფელის 20%-ს შეადგენდა.

**„ვითიბი ბანკი ჯორჯია“**  
„ვითიბი ბანკის“ წმინდა მოგებამ 2018 წლის მე-4 კვარტალის მონაცემებით, 30 734 954 ლარი შეადგინა და ბანკმა ამ მაჩვენებლით მეხუთე ადგილი დაიკავა. ამავე პერიოდში „ვითიბი ბანკმა ჯორჯიამ“ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან 59 015 924 ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო.

„ვითიბი ბანკმა“ 2017 წელს ჯამში 981,802 მლნ ლარი გასცა სესხის სახით. აქედან 45,1% — ფიზიკურ პირებზე, ხოლო 53,5% კი ბიზნესზეა გაცემული.

დასახელებული ბანკების გარდა, დღეს საქართველოში კიდევ 10 კომერციული ბანკია: **ბანკი ქართუ** (2017 წელს ფიზიკური პირებზე გაცემული 44,798 მილიონი ლარი); **პროკრედიტ ბანკი**; **სილქროუდ ბანკი**; **ზირაათბანკი საქართველო**; **იზ ბანკი საქართველო**; **ტერაბანკი**; **ხალიგბანკი საქართველო**; **პაშაბანკი საქართველო**; **ფინვა ბანკი საქართველო** და **კრედიტბანკი**.

კომერსანტი

**„თიბისი ბანკი“**  
2018 წლის მეოთხე კვარტალის ბოლოს ყველაზე მეტი მოგება „თიბისი ბანკმა“ მიიღო — კომპანიას 361 მილიონი ლარის წმინდა მოგება აქვს. ამასთან, „თიბისი ბანკის“ საპროცენტო შემოსავლებში ყველაზე დიდი მოცულობით ფიზიკური პირების დაკრედიტებიდან მიღებული შემოსავალი გამოირჩე-

# ბარემოს დასვრის კანონმდებლობა, რომელიც ბარემოს არ იცავს!

სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, 2013-2018 წლებში გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა ჯამში 196,8 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევებში გარემოსათვის მიყენებული ზიანი 81 მლნ ლარი, ხოლო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მქონე შემთხვევებში მიყენებული ზიანი 118,7 მლნ ლარია.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2013-2018 წლებში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ დათვლილი გარემოსათვის მიყენებული ზიანის უდიდეს ნაწილთან დაკავშირებით, ამ დრომდე არ დაყენებულა ანაზღაურების მოთხოვნა და შესაბამისად, არც ზიანი ანაზღაურებულა.

როგორც ომბუდსმენი აცხადებს, გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სფეროში მოქმედი სამართლებრივი გარანტიები არასაკმარისი და უშედეგოა, კანონმდებლობა არ არის ორიენტირებული გარემოსათვის დამდგარი მძიმე შედეგების რეალურ გამოსწორებაზე, მოქმედი რეგულაციები კი ვერ უზრუნველყოფს გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც სახალხო დამცველის ანგარიშში მოხვდა, არის ის, რომ საკანონმდებლო აქტების და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტი არ იძლევა განმარტებას იმის თაობაზე, უნდა მოხმარდეს თუ არა და რა ფორმით, გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბიუჯეტში მიღებული ფინანსური სახსრები კვლავ გარემოს და მიყენებული ზიანის გამოსწორებას. შესაბამისად, ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემთხვევაშიც, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის ჩარიცხვა აუცილებლად ვერ უზ-



რუნველყოფს გარემოსათვის დამდგარი მძიმე შედეგების გამოსწორებას და მიყენებული ზიანი უცვლელი რჩება.

სახალხო დამცველის მოსაზრებას იზიარებს გარემოსდაცვითი საკითხების ექსპერტი ნინო ჩხობაძე. ეკოლოგი აცხადებს, რომ გარემოსდაცვითი სამართალი არ არის მიმართული იქითკენ, რომ დაზიანებული ტერიტორია აღდგეს. მისი თქმით, დღევანდელი კანონმდებლობა მხოლოდ თანხაზეა

ორიენტირებული.

„სახალხო დამცველის ანგარიშში ანალიზი სწორად არის გაკეთებული. ქვეყანაში მოქმედებს გარემოს დაცვის კანონმდებლობა, რომელიც გარემოს არ იცავს. თუ თანხა გარემოს არ მოხმარდა, ისევე რა აზრი აქვს ჯარიმას? ვთვლი, რომ თანხის ამოღება ძალიან რთულია, როდესაც მილიონობით ზიანს უთვლი ორგანიზაციას, ფაქტობრივად, კოლაფსში აგდებ ნებისმიერ სანარმოს. სანარმომ ეს ანაზღაურება ან არ უნდა გადაიხადოს ან თუ გადაიხადის, კოტრდება, რაც დაკავშირებულია სოციალურ პოლიტიკასთან. ზოგ შემთხვევაში ის დავას იწყებს უწყებასთან, ცდილობს, არ გადაიხადოს და ხანდაზმულობის შემდეგ ჩამოინერონ თანხა, ანუ მაქსიმუმს აკეთებენ იმისთვის, რომ ეს არ იყოს გადახდილი მენარმის მიერ, ეს არ არის მართვის ფორმა. როდესაც ამდენი თანხა ამოსაღებია, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არანაირ პრევენციულ ზო-

მებს არ ვატარებთ, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობაში არის პრევენციული ღონისძიებები. გონივრული ვადა ეძლევა მენარმეს, რომ სიტუაციის გამოსწორების თვალსაზრისით ქმედითი ნაბიჯი გადადგას“, — განაცხადა ნინო ჩხობაძემ.

ექსპერტი ამბობს, რომ გარემოს დამცველი სტრუქტურები არ უნდა იყოს სადამსჯელო სტრუქტურები. ჩხობაძის განმარტებით, კანონმა მენარმე უნდა აიძულოს, რომ ჯერ გარემოზე მიყენებული ზიანი გამოასწოროს და რა თანხაც დარჩება, შემდეგ გადაიხადოს ბიუჯეტში. ეკოლოგი „კომერსანტთან“ საუბარში დამსჯელო გამოცდილებაზე ამახვილებს ყურადღებას:

„არ გვჭირდება ველოსიპედის გამოგონება. ის მიდგომა, რაც ევროპაშია, არის განსახორციელებელი საქართველოშიც. გარემოს დაცვის სამართალს სჭირდება ფუნდამენტალური ცვლილება. ეს ნიშნავს, რომ აბსოლუტურად სხვანაირად უნდა შევხედოთ კანონმდებლობას. მაგალითისთვის, თუ სანარმომ ზიანი მიაყენა, პირველ რიგში დგება ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა. შემდეგ ზიანის ანგარიშგება და ის თანხები, რაც იქნება დაზარალებული სანარმოს მიერ, პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენისთვის გამოიქვითება ზიანისგან, ხოლო, რაც ნაშთი დარჩება, მხოლოდ იმას იხდის დამზიანებელი. ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით კი წერილ, ზიანის თანხა უნდა გადაიხადოს დამზიანებელმა და ტერიტორია უნდა აღდგეს, მაგრამ როგორ უნდა აღდგეს, ან ვინ უნდა აღადგინოს? ზოგადად უწერენ მენარმეს, რომ უნდა აღადგინოს გარემო, მაგრამ მენარმე აღარ აკეთებს ამას, რადგან უკვე გადაიხადა ძალიან დიდი თანხა და მოიხადა მოვალეობა“, — აცხადებს ნინო ჩხობაძე.

ბარო ადამია

დღივ დრო გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის მერიამ „სითი პარკთან“ ხელშეკრულება გაწვევით, მაგრამ დედაქალაქში ავტომობილების პარკირების მიმართულებით თითქმის არაფერი შეცვლილა. ამ დრომდე ყველაფერი თვითნებურად მიედინება...

მდგომარეობის დამძიმებას ისიც განაპირობებს, რომ დედაქალაქის მერიის შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ პარკირების წესების დარღვევაზე იმაზე უფრო არაეფექტიანად რეაგირებს, ვიდრე ყველას მიერ გალანძვლილი „სითი პარკი“. ამასვე მეტყველებს სტატისტიკის ანალიზი, რომელიც „ფაქტ მეტრმა“ მოამზადა.

ირკვევა, რომ თბილისის პარკინგის მენეჯმენტის ბოლო წელს „სითი პარკი“ ყოველთვიურად 122 ათასზე ოდნავ მეტ ჯარიმას გამოწერდა, ხოლო თბილისის მერიის კომპანიამ ყოველთვიურად მხოლოდ 39 ათასი წესის დამრღვევის დაჯარიმება შეძლო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „სითი პარკის“ ჯარიმებიდან 60 პროცენტი მერიას ეკუთვნოდა, ანუ თვითნებურად დედაქალაქის ბიუჯეტში, დაახლოებით, 733 ათასი ლარი შედიოდა, ახალ პირობებში კი, როდესაც პარკინგს თავად მერია განაგებს, მის ბიუჯეტში მხოლოდ 390 ათასი ლარი შედის, თუმცა ოპერირების ხარჯების განევა ამ მცირე შემოსავალს კიდევ უფრო ამცირებს.

მერიის ჩინოვნიკებმა გამოსავალი გაძვირებაში დაინახეს და ისედაც არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში პარკინგის გადასახადის გაზრდა გადაწყვიტეს. 10-დან 50 ლარამდე გაიზარდა ჯარიმა იმ ადგილებში პარკირებისთვის, რომლებიც განუკუთვნილია რეგისტრირებული ტაქსებისთვის, ელექტროავტომობილებისთვის, შპს პირებისთვის და სხვა.

მეორე კი, უფრო მნიშვნელოვანი, პარკირების საფასურის საათობრივ სისტემაზე გადასვლის მცდელობაა. საპილოტე პროექტი 1 ივლისიდან კოტეჯისაზის ქუჩაზე ამოქმედდება და 1 საათის ფასი 50 თეთრი იქნება, როგორც მოხდება ადმინისტრირება, ჯერჯერობით დეტალები ცნობილი არ არის. ვიცით მხოლოდ ის, რომ დღის მანძილზე ავტომობილის მფლობელს 15 წუთით უფასოდ პარკირების უფლება 4-ჯერ ექნება. უნდა იყოს თუ არა ყველაზე ტურისტულ კოტეჯისაზის ქუჩაზე და, საერთოდ, რომელ ქუჩებზე უნდა იყოს პარკირების სივრცეები, ერთ-ერთი მთავარი საკითხია და მასზე პასუხის გაუცემლად ახალი სისტემის დამკვიდრება უამრავ პრობლემას წააწყდება.

სად შეიძლება იყოს გამოსავალი?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თვალი გადავავლოთ ევროპის განვითარებული თუ პოსტსოციალისტური ქვეყნების, ასევე საქართველოს სამეზობლოს გამოცდილებას.

პარკინგის განვითარება

ძველი ევროპის ქვეყნებში ავტომობილებზე მეტია ერთ სულ მოსახლეზე, ვიდრე საქართველოში და მოქალაქეთა მობილობაც მაღალია, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპელები უფრო მეტს გადაადგილებიან, ვიდრე ქართველები. პარკინგის პრობლემა მეტწილად ყველგან დგას, მაგრამ არა ისე მწვავედ, როგორც საქართველოში. ამ სიმწვავის შერბილების რამდენიმე საშუალება არსებობს. მათ შორის პირველია პირადი ავტომობილების ალტერნატიული კომფორტული და ტევადი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ტრამვაის სისტემა, შემდეგ ავტობუსები და მეტრო. შემდგომია ქალაქის ზონირება და სხვადასხვა ზონაში პარკინგის სხვადასხვა საფასურის დანერგვა საათების მიხედვით. ეს თავისთავად სადგომი სივრცის გამოყენების გაძვირებას იწვევს და საკმაოდ რთული განსახორციელებელია უნესო ყოფა-ცხოვრებას შეჩვეულ საზოგადოებაში. კიდევ ერთი ნოვატია Park and Ride-ა. დაბოლოს, მიწისქვეშა და მიწისზედა პარკინგის კონსტრუქციები. მოკლედ გეტყვით თითოეული მათგანის შესახებ:

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, ავტომობილების ბუმის ეპოქაში, დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად, საფრანგეთში, ისევე როგორც ამერიკაში, ტრამვაის გაუქმების პროცესი დაიწყო, რადგან მიაჩნდათ, რომ პერსონალური ავტომობილი ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა. მაგრამ 2000-იანმა წლებმა აჩვენა, რომ ავტომობილიზაციამ ქალაქის შიგნით გადაადგილება განსაკუთრებით გაართულა. მუდმივი ხერგილები და გამოწვრილები მალაქი ეკონომიკური განვითარების ქალაქებს კარგს არაფერს უქადდა. ამიტომ 70-იან წლებში გაუქმებული ადგილები დაიწყეს. მაგალითად, პარიზში თანამედროვე ტრამვაის ქსელი მშენებლობა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

რეზულტატში, მაგალითად, საფრანგეთში, ისევე როგორც ამერიკაში, ტრამვაის გაუქმების პროცესი დაიწყო, რადგან მიაჩნდათ, რომ პერსონალური ავტომობილი ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა საყოველთაო კეთილდღეობის დონის ამაღლებასთან ერთად. მაგრამ 2000-იანმა წლებმა აჩვენა, რომ ავტომობილიზაციამ ქალაქის შიგნით გადაადგილება განსაკუთრებით გაართულა. მუდმივი ხერგილები და გამოწვრილები მალაქი ეკონომიკური განვითარების ქალაქებს კარგს არაფერს უქადდა. ამიტომ 70-იან წლებში გაუქმებული ადგილები დაიწყეს. მაგალითად, პარიზში თანამედროვე ტრამვაის ქსელი მშენებლობა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

ტრამვაის ხაზები არ გაუქმებულა,

ირგვლივ უამრავი იაფფასიანი პარკირების ან, თუნდაც, სრულიად უფასო ადგილების არსებობის პირობებში. 1 საათში მინიმუმ 2 ლარის გადახდის მსურველი – ასეთი ფასია 7 წლის წინ მერიის მიერ რიყის პარკთან აშენებული მინისტრევა პარკინგზე – ბევრი არავინ არის. მით უმეტეს, რომ იქვე, ევროპის მოედნის ირგვლივ, უფასოდ პარკირებაც შესაძლებელია (თუ უფასოდ არა, „სტაიანშჩისთვის“ 50 თეთრის სანაცვლოდ მაინც).



პარკინგის რეორგანიზაცია

როგორც არ უნდა ეცადოს რომელიმე მთავრობა, თბილისის ქუჩებში ავტომობილების პარკინგის მოწესრიგება თუ ეკონომიკურ გათვლებს არ დაეფუნება, არაფერი გამოვა. ეს გათვლები კი უსათონოდ გაცვირებას გამოიწვევს. მაგალითად, ავილოთ

ელიავას ბაზრობა. მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ფასიანი ავტოსადგომები ბოლო წლების მანძილზე, მოთხოვნის ზრდასთან ერთად, რამდენჯერმე გაძვირდა. ელიავას ბაზრობაზე მიმავალ მოქალაქეებს კარგად ესმით, რომ თუ ავტომობილი უნდა ისარგებლონ, პარკინგის კომპანიებს შორის თავისუფალი კონკურენციის შედეგად ჩამოყალიბებული ფასის გადახდა მოუწევთ და არავინ ცდილობს ამ ვითარების გაპროტესტებას ან პოლიტიზებას.

საპირისპიროა მოსალოდნელი, თუ მთავრობა საფასურის გაძვირებას ან საათობრივი ტარიფის დანერგვას შეეცდება. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო „სითი პარკის“ შემოსვლის პირველ დღებში, როდესაც სისტემას საათობრივი საფასურის პრინციპით უნდა ემუშავა. მაშინ არც საჭირო ინფრასტრუქტურა იყო და თავად მექანიზმიც საკმაოდ რთული აღმოჩნდა, თუმცა იმ რამდენიმე დღეს, როდესაც ახლებური პარკინგი დაწესდა, პარკირების ადგილებში მანქანების რაოდენობის სიმცირე აშკარად შეიმჩნეოდა.

მაგრამ უკმაყოფილო მოქალაქეებისა და პოლიტიკოსების აქტიურობის შედეგად, პოლიტიკური დაპაბულობის კიდევ ერთი მიზეზის თავიდან აცილების მიზნით, პარკინგის სისტემა ფიქსირებულ ტარიფზე გადავიდა, ხოლო არაკონკურენტულმა გარემომ „სითი პარკის“ მუშაობის ეფექტურობა სულ უფრო შეამცირა და, ბოლოს, პოლიტიკურმა ზენოლამ სისტემა მთლიანად შეარყია.

ამ დროს კი საქართველოს სამეზობლოში გარკვეული ცვლილებები შეიმჩნევა. თბილისთან შედარებით ათასჯერ უფრო რთული და გადაუჭრელი ჩანდა პარკინგის პრობლემა რუსეთის დედაქალაქში, მაგრამ უკანასკნელ წლებში მოსკოვის მერის ძალისხმევით, რომელსაც ზურგს პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ერთად სპეცსამსახურებიც უმაგრებს, პარკინგის საათობრივი და ზონალური სისტემის დანერგვა მოხერხდა და, როგორც ამბობენ, მოსკოვში უნესოდ პარკირების შემთხვევებმაც იკლო.

გაცილებით პროგრესულად გამოიყურება თურქეთის გამოცდილება, თურქეთისა, სადაც ისეთ ქალაქში, როგორც სტამბოლია, აქცენტი ტევადი (ტრამვაი, მეტრო, სწრაფი ავტობუსი) ტრანსპორტის განვითარებაზე კეთდება. ეს კი ქალაქის ცენტრში პირადი ავტომობილის პარკირების მაძიებელთა რაოდენობას ამცირებს, თუმცა სტამბოლი ამ პრობლემის სრულფასოვანი გადაწყვეტისგან ჯერ კიდევ შორს არის.

მას შემდეგ, რაც გასულ წლებში თბილისის მერიამ ინვესტირების დაინტერესება ვერ შეძლო, ლაპარაკი დაიწყო მრავალსართულიანი რკინის კონსტრუქციის პარკინგების მშენებლობაზე. ქარხნის რკინის კოშკურის მსგავსი კონსტრუქციის მქონე 12-ადგილიანი პარკინგი ადგილი წარმოსადგენია, როგორც „გალამაზებდა“ თბილისის ისედაც სახედაკარგულ გარემოს. მიუხედავად ამისა, „სტარტაპ საქართველოს“ პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ფონდმა 100 ათას ლარამდე გამოყო მრავალსართულიანი კარუსელის ტიპის პარკინგის კონსტრუქციის შესაქმნელად. პროტოტიპი მართლაც შეიქმნა, მაგრამ მას თბილისის მერიის ყურადღება არ დაუქსახურებია. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კონსტრუქციები ჩინურ ინტერნეტმაღაზინებში 6 000-დან 7 000 დოლარამდე ღირს. რა საჭირო იყო 100 ათასი ლარის დახარჯვა, ძნელი სათქმელია, მით უმეტეს, რომ რკინის მრავალსართულიანი პარკინგები ჩინეთის პროვინციული ქალაქების კორპუსებსაც კი არ უხდება, არაუთუ ძველი თბილისის აივნებს.

კიდევ ერთი იდეა, რომელიც თბილისის მერიის კაბინეტებში ისმოდა ხოლმე, „პარკენდ რაიდის“ კონცეფციაა. ასეთი პარკინგების მოწყობა ევროპის ბევრი ქალაქის პრიორიტეტია. დიდი ზომის სადგომები მეტროს ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის დიდ განერგებებთან შენდება. სისტემა ემყარება შემდეგ პრინციპს: მოქალაქე პარკინგის ადგილამდე პირადი ავტომობილით მგზავრობს, მაგალითად, გარეუბნიდან ან ნაკლებად გადატვირთული რაიონიდან. შემდეგ ტოვებს ავტომობილს და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე გადაჯდება. იმავე პრალაში 75-90-წუთიანი პარკინგი და ამ დროის მანძილზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა 40 კრონი (5 ლარი) ღირს, ხოლო ერთდღიანი ბილეთი – 80 კრონი (10 ლარი).

როგორია პარკინგი თბილისსა და ევროპის ქალაქებში



მაგრამ მათი მოდერნიზება და ძველი ვაგონების ახალი, თანამედროვე და ტევადი ტრამვაის ვაგონებით შეცვლა აქტიურად მიმდინარეობს ყოფილი სოციალისტური ბლოკის წევრ ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში.

მიუხედავად ამისა, პრაღელები, ისევე როგორც ევროპის ბევრი მეგობრისი მოქალაქენი, სახლიდან სამსახურში მისვლელად საზოგადოებრივ ტრანსპორტს ამჯობინებენ. ამას ხელს უწყობს როგორც საათივით აწყობილი სატრანსპორტო სისტემა, ასევე ისიც, რომ ქალაქების ცენტრალურ რაიონებში პარკირების ადგილები შეზღუდულია და, თანაც, ძვირი, პარკირების წესების დარღვევა კი სერიოზულ ფინანსურ ჯარიმას უკავშირდება.


მაგალითად, პრაღას თუ დავუბრუნდებით, რომელიც თბილისს უდნავ დიდი ქალაქია, პარკინგის საფასური ზონების მიხედვით მერყეობს 40-დან 80 კრონამდე, ანუ ჩვენებური 5-10 ლარის ფარგლებში. წარმოგიდგენიათ, თბილისში, „ლალიძის წყლებთან“, ავტომობილის 1 საათი პარკირების სანაცვლოდ 10 ლარი რომ გადაიხადოთ? ოფისის წინ ავტომობილის პარკირება ხომ ფუფუნების საგნად იქცევა!

თბილისის მერიის იდეები

ბოლო წლებში თბილისის მთავრობის მხრიდან ბევრჯერ მოვისმინეთ დაპირება მიწისქვეშა თუ მიწისზედა პარკინგის პროექტების შესახებ. მერიამ რამდენჯერმე საპარკინგე ადგილებიც კი დააანონსა, მაგრამ მრავალსართულიანი პარკინგის მშენებლობის მსურველი ინვესტორი არავინ გამოჩნდა. პროექტი იმთავითვე წამგებნიანი ჩანდა

საქართველო – და, ამ შემთხვევაში, თბილისმა – ევროპის იმ ქალაქების გამოცდილებით უნდა იხელმძღვანელოს, რომელთაც საბჭოთა წარსული აქვთ და სასტარტო პირობებიც თბილისის იდენტური პქონდათ. მაგალითად გამოდგება ზალტიის ქვეყნები და მათი ქალაქების რეფორმები, თუმცა ზოგადი პრინციპი ყველგან უცვლელია. შესაბამისად, თბილისს არა მარტო პარკინგის პრობლემის მოგვარება ესაჭიროება, არამედ მთლიანი სატრანსპორტო სისტემის რეფორმირება, რაც ქალაქის ინფრასტრუქტურის მოდერნიზებასაც მოითხოვს. ეს კი თანამედროვე და ტევადი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას, უამრავი საფენმავლო ქუჩის გაჩენას და რეკრეაციული ზონების გაფართოებას უკავშირდება. ამ მასშტაბური ცვლილებების გარეშე ერთი რომელიმე კომპანიის პარკინგის ოპერირებიდან გაძევება ან ამ სფეროში სახელმწიფოს ჩარევა რაიმე ხელშესახებ შედეგს ვერ მოიტანს.

**ასდენს თუ არა საბარტოვილოსა და უკრაინის, ახლო წარსულში მოსკოვის სატელიტების, ნატოში გაწევრიანებაზე გავლენას რუსეთის უზარმაზრობა?** – ამ შეკითხვაზე ნატოს მაღალჩინოსნები, როგორც ნე-სი, უარყოფით პასუხს იძლევიან და ამბობენ, რომ მესამე მხარე ვერ მოახდენს გავლენას ალიანსის გადაწყვეტილებაზე. თუმცა განსხვავებულად ფიქრობს ჩვენი კოლეგა, ბრიუსელში რადიო თავისუფლების კორესპონდენტი რიკარდ იოზვიაკი.



**რიკარდ იოზვიაკი:**

**გასაღები მოსკოვში. დასკვნა კალიან პარტიში**

**რიკარდ იოზვიაკი:** იმისათვის, რომ საქართველომ შეძლოს ნატოში გაწევრიანება, მოსკოვში უნდა მოხდეს რაღაც. გასაღები მოსკოვშია. რაც საქართველომ და უკრაინამ ახლა უნდა გააკეთონ, არის ის, რომ რაც შეიძლება მიუახლოვდნენ ნატოს კედელს და დაელოდონ, ზემოდან როდის ჩამოეშვება კიბე ან ბაგირი. ეს კი მაშინ მოხდება, როდესაც მოსკოვში იქნება ლიბერალი, რეფორმისტი პრეზიდენტი, როგორც იყო ელცინი, ან როგორც შეიძლება იყოს ფილიპო ბორის ნემცოვი. მაგრამ ვიდრე მოსკოვში არ მოხდება ცვლილება, არა მგონია, რომ რაიმე შეიცვალოს საქართველოს ნატოსთან ურთიერთობის მხრივ.

მთავარია ორი ქვეყანა, გერმანია და საფრანგეთი, რაც ყველამ იცის. და ისინი დანარჩენებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ არიან ნატოს წევრი უდიდესი ევროპული ქვეყნები, ბრიტანეთთან ერთად. და ისინი ეწინააღმდეგებიან გაწევრიანებას ალმოსავლეთით...

– ნატოს გაწევრიანების ბოლო ეტაპებს თუ გავისწავლებთ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოსკოვი არ ყოფილიყო ამის წინააღმდეგი, არის და იქნება მომავალშიც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პროცესი გრძელდება და დღეისთვის ნატოში უკვე 30 წევრი ქვეყანაა.

– იცით, საქმე ისაა, რომ ქვეყნები, რომლებიც, დავუშვათ, ბოლო 10 წლის განმავლობაში გაწევრიანდნენ ნატოში და ის, რომელიც, სავარაუდოდ, მომავალ წელს გაწევრიანდება, დასავლეთ

ბალკანეთში მდებარეობენ და გარშემორტყმული არიან ნატოს წევრი ქვეყნებით. ცხადია, რომ ამ ქვეყნებს არა აქვთ რუსეთთან ისეთი კონფლიქტი, როგორც აქვს საქართველოს. რა თქმა უნდა, რუსეთს სულაც არ გახარებია მონტენეგროს გაწევრიანება ალიანსში და არც ახლა უხარია ჩრდილოეთ მაკედონიის გაწევრიანება, მაგრამ ამ შემთხვევაში მოსკოვს ძალიან მცირე გავლენის შესაძლებლობა ჰქონდა. ამას ვერ ვიტყვით საქართველოზე, სადაც მოსკოვს ტერიტორიის 25% აქვს ოკუპირებული. ეს სულ სხვა სახის პრობლემაა. ამიტომ, რასაც ნატო ამჟამად აკეთებს, არის ის, რომ თავის რიგებში იღებს ქვეყნებს,

რომლებიც უფრო ნაკლებად არიან საამისოდ მზად, ვიდრე საქართველო, რაც ყველამ იცის, თუმცა ღიად არ ლაპარაკობს ამაზე. მაგრამ ნატოს შეუძლია ამის გაკეთება, რადგან არ სვდება პოლიტიკური წინააღმდეგობა რომელიმე მესამე ქვეყნიდან. ეს კი ასე არ არის უკრაინისა და, რა თქმა უნდა, ასე არ არის საქართველოს შემთხვევაში. დასკვნა ძალიან მარტივია.

– არსებობს საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფი ნატოში – პოლონეთი, აშშ, ბალტიისპირეთისა და ვიშგრადაის ჯგუფის ქვეყნები, რომლებიც მტკიცედ უჭერენ მხარს ნატოში საქართველოს გაწევრიანებას. მაგრამ ნატოს რომელი სა-

ხელმწიფოებია, რომლებიც ეწინააღმდეგებიან უკრაინისა და საქართველოს გაწევრიანებას?

– მთავარია ორი ქვეყანა, გერმანია და საფრანგეთი, რაც ყველამ იცის. და ისინი დანარჩენებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ არიან ნატოს წევრი უდიდესი ევროპული ქვეყნები, ბრიტანეთთან ერთად. და ისინი ეწინააღმდეგებიან გაწევრიანებას ალმოსავლეთით – დასავლეთ ბალკანეთში კი არა, ალმოსავლეთის მიმართულებით გაწევრიანებას, რაც ეხება ნატოსაც და ევროკავშირსაც. საფრანგეთის შემთხვევაში ისეა, რომ პარიზი ეწინააღმდეგება ევროკავშირის გაწევრიანებას დასავლეთ ბალკანეთის მიმართულებითაც. ისინი, უბრალოდ, ფიქრობენ, რომ ამ ქვეყნების მიღება სტაბილიზაციის მაგივრად გამოინვეს რუსეთის გალიზიანებას, რაც, საბოლოო ჯამში, ცუდია მთლიანად დასავლეთისათვის, იქნება ეს ევროკავშირი თუ ნატო.

– ხომ არ არსებობს ნატოში რაიმე სათადარიგო გეგმა საქართველოსა და უკრაინისათვის, რათა ქვეყნებმა, რომლებმაც ამდენი მსხვერპლი გაიღეს ევროატლანტიკური მომავლისათვის, ხელი არ ჩაიქნინონ და იმედი არ გაუტრუფდეთ, ვიდრე რაიმე შეიცვლებოდეს მოსკოვში, პარიზსა თუ ბერლინში?

– არა, რეალურად არანაირი სათადარიგო გეგმა არ შეუქმნიათ და შეუთანხმებიათ. ყველა მარტივად თანხმდება იმაზე, რომ საჭიროა აქტიურობა საქართველოს საკითხში, 2008 წლის ბუქარესტის სამიტის დაპირების ძალაში დატოვება, კიდევ მეტი თანამშრომლობა, მეტი ერთობლივი წვრთნა. მაგრამ სულ ეს არის! და ასე დარჩება თვალსაწიერ მომავალში. არა მგონია, რომ დღის წესრიგში იდგეს გაწევრიანების სამოქმედო პროგრამა და, მით უმეტეს, ნატოს წევრობა. წვრთნები, ვარჯიში, ფული, ექსპერტების ცოდნის გაზიარება – კი, წევრობა – არა. ეს არის გეგმა. სათადარიგო გეგმა არ არსებობს.

კობა ლიკლიაძე



**საჰაერო ტექსები ავსტრიაში**

30ნაში საჰაერო ტექსი – EHang 216 გამოსცადეს. აეროტექსს საათში 160 კმ-ს დაფარვა შეუძლია, საჰაერო ტექსი ამ დროისათვის სატესტო რეჟიმში მუშაობს, ხოლო მისი გაშვება 2019 წლის მეორე ნახევარშია დაგეგმილი.

საწყის ეტაპზე საჰაერო ტექსით ტვირთის მიწოდება მოხდება, ხოლო მეორე ეტაპზე ის მგზავრების გადაყვანასაც უზრუნველყოფს.

ავსტრიის მასშტაბით საჰაერო ტექსების მომსახურების სერვისი 2025 წლიდან გაეშვება, მანამდე კი საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება მოხდება.

**რუსეთმა შავ ზღვაში სამხედრო გემები შეიყვანა**

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ შავ ზღვაში ნატოს სწავლებასთან დაკავშირებით შავი ზღვის ფლოტის მორიგეობა დაანუსა.

უნებებში აცხადებენ, რომ აღნიშნულის მიზანია ნებისმიერი შტატგარეშე ვითარებაზე ოპერატიული რეაგირების მოხდენა. მორიგეობაში ჩართულია როგორც სადაზვერვო გემები, ასევე დამრტყმელი ჯგუფები. მორიგეობის რეჟიმში ასევე გადაყვანილი სახმელეთო-სარაკეტო კომპლექსები „ბასტიონი“ და „ბალ“, – აღნიშნავენ უწყების პრესსამსახური.

შავ ზღვაში 5-13 აპრილის ჩათვლით ნატოს მრავალეროვნული სწავლება მიმდინარეობს. სწავლებაში მონაწილეობენ ნიდერლანდების, ბულგარეთის, საბერძნეთის, აშშ-ის, კანადის, რუმინეთის, თურქეთის ავიაცია და გემები, ასევე უკრაინის და საქართველოს წარმომადგენლები. შავ ზღვაში ამჟამად ნატოს 6 გემი იმყოფება.

**აზერბაიჯანმა ნატოს საჰაერო სივრცე ჩაუკეტა**

აზერბაიჯანმა გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებისთვის საჰაერო სივრცე ჩაუკეტა. SPIEGEL-ის ინფორმაციით, ამის გამო გერმანიის სამხედროები იძულებული არიან, ავღანეთში გასამგზავრებლად ბუნდესვერის თვითმფრინავების მაგივრად, ამერიკული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები შ-17 გამოიყენონ.

SPIEGEL წერს, რომ ბუნდესვერის თვითმფრინავები მაზარი-შარიფს ბაზაზე ფრენებს კვირაში ერთხელ ახორციელებდნენ, თუმცა აზერბაიჯანის აკრძალვის გამო მათ ფრენები მარტიდან აღარ განუხორციელებიათ.

ამასთან, ანგარიშში ნათქვამია, რომ ავღანეთში გერმანელი სამხედროების ჩაყვანა, ან მათი იქიდან გამოყვანა აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების მეშვეობით ხდება, რომლებიც ალტერნატიულ მარშრუტს იყენებენ.

**პოლიციასა და მიგრანტებს შორის შეტაკებები ბრძელდება**

მესამე დღეა, ჩრდილოეთ მაკედონიის საზღვართან საბერძნეთის პოლიციასა და მიგრანტებს შორის შეტაკებები გრძელდება. სამართალდამცველებმა ლტოლვილების წინააღმდეგ ცრემლმდენი გაზი და რეზინის ხელკეტები გამოიყენეს. ინფორმაციას Euronews-ი ავრცელებს.

საბერძნეთის შინაგან საქმეთა უწყებაში განმარ-


ტეს, რომ ესკალაცია სოციალურ მედიაში გავრცელებულმა ყალბმა ინფორმაციამ გამოიწვია. ერთ-ერთი ცნობის თანახმად, ცენტრალურ ევროპაში გადასვლის მსურველი მიგრანტებისთვის სასაზღვრო შეზღუდვები იხსნებოდა.

**სამყაროს ყველაზე კალაღობრივი აღბილი**

მოთხაბათის, 10 აპრილს, მეცნიერები ისტორიული მნიშვნელობის ფოტოს პრეზენტაციას აწყობენ. ასტროფიზიკოსები საჯაროდ წარადგინენ შავი ხვრელის პირველ ფოტოს. ფოტოზე 200-ზე მეტი ადამიანისგან შემდგარი საერთაშორისო ჯგუფი მუშაობდა, ე.წ. მოვლენათა შორიზონტის ტელესკოპის პროექტის (EHT) ფარგლებში.

ვაშინგტონში შეერთებული შტატების სამეცნიერო ფონდი კოსმოსის კვლევის საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოჩენასთან დაკავშირებით, პრესკონფერენციას გამართავს. პრესკონფერენცია იმავდროულად ეწყობა ბრიუსელში, სანტიაგოში, შანხაიში, ტაიბეიში და ტოკიოში.

შავი ხვრელი ერთ-ერთი ყველაზე ძალადობრივი ადგილია სამყაროში. ის შთანთქავს სინათლეს და ნებისმიერ ციურ სხეულს, რომელიც მასთან ახლოს აღმოჩნდება. შავი ხვრელის წიაღში უკვალოდ ქრება ვარსკვლავები, პლანეტები, გაზები, მტვერი თუ ნებისმიერი სახის ელექტრომაგნიტური რადიაცია.




© წინ, საქართველო!

# ტრავმული „ოქრო“

41 ძველი 400-მდე ათლეტი მონაწილეობს ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც ბათუმის ახალი სპორტის სასახლე მასპინძლობს. ფორუმის მეორე დღეს ვაჟთა შორის 61 კილოგრამი წონითი კატეგორიის სპორტსმენები გავიდნენ ფიცარნაგზე. ქართველთაგან იყოჩაღა შოთა მიშველიძემ, რომელმაც 156 კილოგრამი აკრა და ამ მოძრაობაში ოქროს მედალი მოიპოვა. ორჭიდში (125 კგ აიტაცა) იგი 281 კილოგრამით მე-4 ადგილზე გავიდა და ბრინჯაოს მედალოსან თურქ ფერდი ჰარდალის კილოგრამით ჩამორჩა. არადა, მიშველიძის ექვსიდან მხოლოდ სამი ცდა იყო შედეგიანი, თანაც მან რამდენიმე თვის წინათ მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ამჯერადაც მხრის ტრავმით ასპარეზობდა. რამინ შამილიშვილმა 276 კილოგრამით (124+152) მე-5 ადგილი დაიკავა.

- 61 კგ
- 1. ნენაძე ლაპცუფი (ბელარუსი) – 286 (133+153);
- 2. ბანიამი სეზერი (თურქეთი) – 283 (132+151);
- 3. ფერდი ჰარდალი (თურქეთი) – 282 (127+155);
- 4. შოთა მიშველიძე (საქართველო) – 281 (125+156);
- 5. რამინ შამილიშვილი (საქართველო) – 276 (124+152).



შეჯიბრებაში არ მონაწილეობს 25 წლის თათია ლორთქიფანიძე. სპორტსმენის მამამ, ყოფილმა დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი შვილი შეჯიბრიდან ჩუმად მოხსნეს. ინციდენტს ქვეყნის პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც გამოეხმაურა. „მე მინდა ერთი საკითხი გავაუღერო. ეს არის ის უსამართლობა და საერთოდ გაუგებარია, არ მესმის ასეთი გადაწყვეტილება, როცა ადამიანს ბრინჯაოს მედალი აქვს და მასზე დიდი

იმედები იყო“, – განაცხადა ქალბატონმა სალომემ. ლორთქიფანიძის მამის ბრალდებას პასუხი გასცა საქართველოს ძალოსანთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ასანიძემ: „ყველას ვალდებულებაა, რომ დაემორჩილოს წესს, რაც ფედერაციას გააჩნია. იყო ვარჯიშების სისტემატური გაცდენა. უფროსი მწვრთნელი ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მას აქვს შანსი, გაიზაროს შენიშვნები და ამის შემდეგ ექნება შესაძლებლობა, რომ შემდეგ ჩემპიონატებში მიიღოს მონაწილეობა. თათია ლორთქიფანიძე ევროპის ჩემპიონატზე ვერ გამოვა. ეს მისთვის ცნობილი იყო 14 მარტს, როდესაც დასკვნით შეკრებაზე არ გამოცხადდა“...

**ქართველთა ჩემპიონატზე გამოსვლის გრაფიკი:**  
**9 აპრილი.** 11:00 სთ. 64 კგ. მაკა ვეფხვაძე, C ჯგუფი; 15:30 სთ. 73 კგ. არჩილ მალაყმაძე, B ჯგუფი, **10 აპრილი.** 12:45 სთ. 81 კგ. ლომია თეზიძე, C ჯგუფი, **11 აპრილი.** 15:00 სთ. 76 კგ. ნათია გადელია, B ჯგუფი; 17:53 სთ. 89 კგ. რეზი დავითაძე, A ჯგუფი, **12 აპრილი.** 20:23 სთ. 96 კგ. ანტონ პლესნოი, A ჯგუფი, **13 აპრილი.** 08:53 სთ. 102 კგ. ირაკლი ჩხეიძე, A ჯგუფი; 17:23 სთ. +109 კგ. ირაკლი თურმანიძე და ლაშა ტალახაძე, A ჯგუფი.

ლემსო ცინცაძე

© ლაგიონერები

# ქულაბის, ბოლბას

**ბოლბას ბითაქი პირველ ტიტულს „შეერთებულ“ – ქართული კალათბურთის იმედი ადრიატიკის ლიგის ფინალში პოპულარულ სერბულ „ცრვენა ზვზდას“ შეხვდება. სერბია სამ მოგებადმდე გაგრძელდება და მათ პირველ ბრძოლას 12 აპრილს ბელგრადი უმასპინძლებს.**

მართალია, მომავალ მატჩებში საკუთარი მოედნის უპირატესობა არმიულებს ექნებათ, მაგრამ მათი უპირობო ფავორიტებად მიჩნევა მაინც უსაფუძვლოდ გვესახება, რადგან მონტენეგროელებმა აღნიშნული სტერეოტიპი ნახევარფინალში უკვე დაამსხვრიეს. შეგახსენებთ, რომ „ცედევიტასთან“ მეტოქეებმა ერთმანეთს თითო ჩხვლეტა შინ მიაყენეს და გადამწყვეტი მატჩი ხორვატეთში გაიმართა.

პირველი პერიოდი სტუმრებს კარგს არაფერს უქადადა – 10:21, მაგრამ, აქედან მოყოლებული, პოდგორიცელებმა სრულად გაამართლეს ევროლიგის მონაწილის სტატუსი და ერლ კლარკის (19 ქულა) ძალისხმევით დასკვნით რაუნდშიც გააღწიეს – 78:73 (2:1).

პარტნიორთა წარმატებაში ღირსეული წვლილი ჩვენმა თანამემამულეებმაც შეიტანა – 13 ქულა და 7 მოხსნა 21 წუთში.

**სსპანეთის ლიგა ენდესა.** 26-ე ტური. „გიპუზკოა“ – „ესტუდიანტესი“ 93:92. ბექა ბურჯანაძე – 26 ქულა(!), 6 მოხსნა, 1 პასი 34 წუთში; „უნიკასა“ – „ხუვენტუდი“ 88:63. გიორგი შერმაღინი – 8 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი 23 წუთში; თად მაკვადაძე – 3 ქულა, 1 პასი 13 წუთში.

ში; „მურსია“ – „ბასკონია“ 75:86. თორნიკე შენგელია – 1 პასი 5 წუთში.

**მორიბი ინციდენტი** მოხდა „ჯვაროსანთა“ ყოფილი კაპიტნის ზაზა ფაჩულიას მონაწილეობით ნბა-ს რეგულარული სეზონის ფინალში „ოკლაჰომასთან“ გამართულ გასვლით შეხვედრაში, რომელიც „დეტროიტმა“ 110:123 წააგო და სათუო გახდა პლეი-ოფში გასვლა.

მართალია, ჩვენებურს პარკეტზე თავი არ შეურცხვენია და მატჩის ოქმში 17 წუთში მოგროვებული 7 ქულით, 2 მოხსნითა და 1 პასით შევიდა, მაგრამ ყურადღების ცენტრში უფრო მეტოქის ლიდერ რასელ ვესტბრუკისგან ერთ-ერთ ეპიზოდში ბურთის კალათში გადაგზავნის მცდელობისას სახეში მიღებული დარტყმით მოექცა. თუ გავითვალისწინებთ მათ ძველ ანგარიშებს, მომხდარს თავისუფლად შეგვიძლია ბოლმის გამოვლენა და ვენდეტა ვუნოდოთ. აი, რატომ: ჯერ კიდევ „გოლდენ სტიტში“ თამაშისას ქართველი ცენტრი ამერიკელმა ვარსკვლავმა ორჯერ დაადანაშაულა მისთვის ტრავმის მიყენების განზრახვაში. ვითომ?

ვითომ?



© ძიულ



**1 ოძროს, 2 ვერცხლის, ამდენზე ბრინჯაოს მედალი და გუნდური პირველი ადგილი** – ასეთია ქართველ ძიუდოისტთა მონაგარი თურქულ ანტალიაში, სადაც კომონიანთა მსოფლიოს გრან პრი დამთავრდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ლუკა მასურაძე (81 კგ), ვერცხლის ჯილდოები გიორგი პაპუნაშვილსა (90 კგ) და ლევან მათიაშვილს (+100 კგ) ერგოთ, ხოლო ბაგრატ ნინიაშვილი (66 კგ) და ავთანდილ ჭრიკიშვილი (90 კგ) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

21 წლის მასურაძემ საჩემპიონო გზაზე არაერთი სახელოვანი მეტოქე ჩამო-

# ლუკას ბასარეზა

იშორა: ზედიზედ მოუგო ჰოლანდიელ ჯიმ ჰეიმანს, ახალგაზრდებში მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონ მატიას კასეს (ბელგია), უკრაინელ ბოჰდან ზუსკოს, ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორს, მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალების მფლობელ ანტუან ვალუა-ფორტიეს (კანადა), ოლიმპიურსა და ევროპის ჩემპიონს, მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს მედალოსან ხასან ხალმურზაევს (რუსეთი), ფინალში კი დამაჯერებლად აჯობა ახალგაზრდებში მსოფლიოს 2018 წლის იტალიელ ჩემპიონ კრისტიან პარლატის. პაპუნაშვილმა ფინალი ექსლავრად ნიელ მიკაილ ოზერლერთან (თურქეთი) წააგო, მანამდე კი ყირგიზ ფარუხ ბულეკულოვს, რუს ხუსეინ ხალმურზაევს, სერბ ალექსანდრ კუკოლსა და ებრაელ იტაი გოლანს სძლია.

მატიაშვილმა რაკან ზაიდანი (საუდის არაბეთი), იაკივ ხამო (უკრაინა), დავიდ მოურა (ბრაზილია) და უშნგი კოკაური (აზერბაიჯანი) დაამარცხა, მაგრამ გადამწყვეტი პაექრობა დამატებით დროში როი მეიერთან (ჰოლანდია) დათმო.

ბრინჯაოსთვის ორთაბრძოლაში ჭრიკიშვილმა სერბ ალექსანდრ კუკოლს, ხოლო ნინიაშვილმა რუს აბდულა აბდულჯალილოვს დააყრევინა ფარხმალი.

ლაშა დიდი

© თაოჯა

# ჩვენი იბელი

**ლუკა ძაჭარაძე ბარსელონაში გამართული 14 წლამდე ასაკის მოფარეკავთა საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონია!**

მან დაშნით მოასპარევე ბიჭებს შორის წარმატებით გაიარა საკვალიფიკაციო ეტაპი, პლეი-ოფში კი ყველა მეტოქე დაამარცხა, მათ შორის ფინალში – მასპინძელთა წარმომადგენელი ივან ნესტერიუკ ბოროდინი 15:7 და Trofeu Sant Jordi-ის გამარჯვებული გახდა.



ქოჯა კოხახიძე

© ჩოგბურთი

# „ვერსხლის“ ღუბლი



**პორტუგალიურ ობიდოსში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საბრინჯო ფონდი 25.000 დოლარი), რომელშიც ორი ქართველი მონაწილეობდა. ერთეულში მე-7 ნომრად განთესილმა მარიამ ბოლქვაძემ სტარტზე ჩნის ანასტასია დეტიუცი (4:6, 6:4, 6:2) დაამარცხა, შემდეგ მის გზას გაუყვნა კამბოჯელი ანდრეა კა (6:3, 6:0), მე-2 რეიტინგის მქონე სერბი დეიანა რადანოვიჩი (6:3, 3:6, 6:2) და ბრიტანელი ედენ სილვა (6:2, 6:4), მაგრამ გადამწყვეტი პაექრობა მე-5 ნომრად განთესილ ბელგიელ მარინა ზანევსკასთან 5:7, 2:6 დათმო.**

წყვილებში სოფიო შაფათავას და ბრიტანელ ემილი ვებლი-სმიტს განთესვით მესამე ნომერი ჰქონდათ. ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ ქართულ-ალბონური დუეტი ფინალში ესპანელებთან – ქრისტინა ბუკსასა და ხეორხინა გარსია პერესთან 5:7, 5:7 დამარცხდა.

გივი ბაგვა

© ოქიანის გაღვა

# ჩუსული ყინული

**ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული სეზონი „ტამპა ბეის“ ტრიუმფით დასრულდა, რომელმაც 82 შეხვედრიდან 62 მოიგო და ამით NHL-ის ყველა დროის რეკორდი გაიმყარა – 128 ქულა.**

არანაკლებ შთამბეჭდავად გამოიყურება ამ კლუბის რუსი ლიდერის ნიკიტა კუჩეროვის ინდივიდუალური მონაგარი გოლს+პასის სისტემით – ასევე 128 ქულა (41+87), რამაც 26 წლის ჩრდილოეთის თანამემამულე ალექსანდრ მოვილინის ერთი შეხვედრით მარადიული მიღწევის გაუმჯობესების საშუალება მისცა – 127 ქულა. სხვათა შორის, ქომაგთა ახალი კერპი ქალაქ მაიკოპში სწორედ სახელოვანი წინამორბედის აღზევებისას დაიბადა. აღსანიშნავია ისიც, რომ უშუალოდ სნაიპერთა დავაც 51 გატანილი შაიბით „ვაშინგტონის“ რუსმა მოიერიშემ ალექს ოვეჩკინმა მოიგო. დავქნით, რომ პლეი-ოფები 12 აპრილს დაიწყება.



გიორგი შოთაძე

# ოლეგ ბასილაშვილი გია დანელიას ბარდასპალეაზე

„უდიდესი რეჟისორი, რომელმაც სხვა თვალით დამანახა სამყარო“, — ასე ახასიათებს 4 აპრილს მოსკოვში გარდაცვლილ კინორეჟისორს გია დანელიას მსახიობი **ოლეგ ბასილაშვილი**, რომელსაც სანკტ-პეტერბურგში ტელეფონით დაუკავშირდა რადიო თავისუფლების რუსულენოვანი პროგრამის „ეხო კავკაზას“ კორესპონდენტი **ანასტასია სლოვინსკაია**. გია დანელიას და **ოლეგ ბასილაშვილს** ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდათ. მსახიობს მთავარი როლი აქვს შესრულებული 1979 წელს გია დანელიას მიერ გადაღებულ ფილმ „შემოდგომის მარათონში“.



**ოლეგ ბასილაშვილი:** „გიორგის გარდაცვალება ჩემთვის უდიდესი მწუხარებაა. ბედმა მასთან შეხვედრის ბედნიერება „შემოდგომის მარათონის“ გადაღებებზე მარგუნა. გარკვეულწილად მისი თვალით დავინახე სამყარო — გაცილებით ფართოდ, მრავალფეროვნად და კეთილად, ვიდრე მანამდე ვხედავდი. გიას ხასიათის მთავარი თვისება მისი სიკეთე და გარესამყაროს სიყვარულია, მისი ყველა სურათი სიყვარულით, სინათლით და სიყვარული-სადმი სევდითაა გასხივოსნებული.“

„შემოდგომის მარათონზე“ მუშაობისას ბევრი რამ მასწავლა, ამასთან სიტყვით კი არა, მასწავლა საქმით. მასწავლა კამერის წინ პარტნიორთან ურთიერთობა; მასწავლა იმად ყოფნა, ვინც ვარ სინამდვილეში. მთავარი, რასაც მივ-

ხვდი ისაა, რომ მსახიობს, რომელსაც საერთო არაფერი აქვს იმ საზოგადოებასთან, რომელშიც ცხოვრობს, უფლება არა აქვს გამოჩნდეს სცენასა და ეკრანზე. მსახიობი, ხელოვანი საზოგადოების ტკივილით უნდა იყოს გამსჭვალული და ხარობდეს იმით, რითაც საზოგადოება ხარობს; უნდა ოცნებობდეს უკეთესზე, ოცნებობდეს ბედნიერებაზე...“

ისეთი ხრიკები მასწავლა, რომელთა ცოდნა აუცილებელია მსახიობისთვის, რათა ეკრანზე ცოცხალადამიანად ჩანდეს, მაგრამ მთავარი მაინც დაკვირვება ხყო — თუ როგორ მუშაობდა, როგორ ეძებდა იმ ერთადერთ სიმართლეს, იმ ჭეშმარიტებას, რომელიც ფილმში უნდა ყოფილიყო. სცენას, რომელსაც სხვა რეჟისორი ერთ დღეში გადაიღებდა, გია იღებდა ხუთი დღის განმავლობაში იმიტომ, რომ ეძებდა ერთადერთ და სწორ გადაწყვეტას. ის იყო მომთხროვნი, მომთხროვნი უპირველესად საკუთარი თავის მიმართ და სწორედ ამან აქცია უდიდეს რეჟისორად, უდიდეს კინორეჟისორად! უნდა გავიმეორო რეზო გაბრიასის სიტყვები: მისი წასვლით დასრულდა კინემატოგრაფია! იწყება რაღაც ახალი ერა. უკეთესი თუ უარესი, არ ვიცი, მაგრამ ნამდვილმა კინომ გიორგი დანელიას წასვლით არსებობა შეწყვიტა. ის იყო ქართველი ხალხის უდიდესი შვილი და რუსეთის უდიდესი მეგობარი, იყო რჩეული.“

WWW.RADIOTAVISUPLEBA.GE

რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ქართული ეკონომიკური სკოლის ღვანლმოსილი წარმომადგენელი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის ნამდვილი წევრი, ვლადიმერ ვერნანდსკის ოქროს მედლის კავალერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



## როზება ასათიანი

და სამძიმარს უცხადებს დამწუხრებული ოჯახის წევრებს. რსმმ საქართველოს განყოფილების პრეზიდენტის წევრთა სახელით — გურამ ქაშაკაშვილი, ნოდარ ჭითანავა, მიხეილ ჯიბუტი, რევაზ ლორთქიფანიძე.

ვეტერანი მოფარიკავეები ი. ოსიპოვი, ზ. ცეციტიშვილი, გ. ცაგარელი, გ. კოსტავა, გ. ჯაიანი, მ. ბაზაძე, დ. სახვაძე თანაგრძნობას უცხადებენ ფარიკაობის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს, ცნობილ ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს არჩილ გოგელიას დის

## ნანული გოგელიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს არჩილ გოგელიას დის

## ნანული გოგელიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა 1992-1995, 2004-2008 წწ. მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი

## თეიმურაზ შორაშორიანი

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

თინა ნიკოლიშვილი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრონ ლეთში მეუღლესთან, შვილსა და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობს. მას არ ავინყდება 2008 წლის აგვისტოს ომის დღეები. ომის წარჩენებს ის ახლაც სხეულით ატარებს. ზაფხულის იმ დღეს ჯერ ხმაური გაიგო, შემდეგ რაღაცა გასკდა და სხეულზე სისხლიც დაინახა. ნიკოლიშვილები ეზოში კასეტური ბომბი აფეთქდა, ბომბის ნამსხვრევებს კი ახლაც სხეულით ატარებს. დიდი ხანია ექიმთან არ ყოფილა, ოჯახს ამის შესაძლებლობაც არა აქვს. ტკივილი ხშირად აუტანელი ხდება: „გავიხედე და გოგო ტირის, მშობლები დამელუშნენო. გამოვიდა გარეთ და არავინ ჩანდა. თურმე ყველა დაიჭრა. ვიყავით უბატონოდ. მერე სასწრაფო მოვიდა, წაგვიყვანეს ტყვიაში. მთელ სხეულში ისევ მაქვს ნამსხვრევები. აი, ახლაც მთელი სხეული მიკანკალებს.“

იქვე დაიჭრა თინას მეუღლე რობერტ ნიკოლიშვილიც, თუმცა მისი ჭრილობა უფრო მსუბუ-

# ცხოვრება ომის ნარჩენებით

ქი აღმოჩნდა და ნამსხვრევები მაშინვე ამოუღეს.

მიუხედავად ამისა, 71 წლის კაცი ამბობს, რომ 2008 წლის ომის შემდეგ მათი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა და ამ დრომდე ტკივილითა და მოგონებებით ცხოვრობენ: „ვინ უბედურებას! განახევრდი. ომის შემდეგ ვერ გავიხარეთ. ტანჯვასა და უბედურებაში ვართ. ცოლი დღე და ღამე ტირის. არ შეუძლია და რა ვქნა. საშველი რომ იყოს, ვუშველიდი, მაგრამ არ არის საშუალება.“

გორის ცენტრში, ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩებზე, კასეტური ბომბების კვალი შენობებს ახლაც შერჩენია.



2008 წლის 12 აგვისტოს აფეთქებას ქალაქის ცენტრში მშვიდობიანი მოქალაქეები ემსხვერპლნენ. მათ შორის იყო ჰოლანდიის ტელევიზიის ოპერატორი სტან სტორიმანსი.

ომის დასრულებიდან ცოტა ხანში ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაციამ „ჰიუმენ რაიტს უოჩმა“ განაცხადა, რომ საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომის პერიოდში კასეტური ბომბებით 16 ადამიანი დაიღუპა.

განალმევითი სამუშაოები კონფლიქტის ზონაში:

● მეათე წელია, კონფლიქტის ზონაში ჯერ ისევ მიმდინარეობს განალმევითი სამუშაოები.

● ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ჰალო ტრასტი“ 2008 წლის ომის ნარჩენებს ერგნეთ-

შიც ეძებს.

● გასული წლიდან დღემდე 137 ჰექტარზე მეტი გამოცხადდა უსაფრთხო ტერიტორიად.

● ბოლო ათი წლის განმავლობაში ამ ორგანიზაციამ 20 ათასზე მეტი ჭურვი, ნაღმი, ბომბი და სხვა აუფეთქებელი ნარჩენი გააუვნებელყო.

● სამუშაოები ისევ გრძელდება და ომის ნარჩენებისგან ტერიტორია ჯერ სრულად არ არის განმენდილი.

\* \* \*

„რუსეთმაც და საქართველომაც გამოიყენეს კასეტური ბომბები“, ვკითხულობთ 80-გვერდიან ანგარიშში. ამ ბომბებით დაშავდა 54 სამოქალაქო პირი საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად და სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე.

ანგარიშის თანახმად, რუსეთის მიერ კასეტური ჭურვების გამოყენების შედეგად 12 სამოქალაქო პირი დაიღუპა და 46 დაიჭრა. საქართველოს მიერ გამოყენებულ მსგავს იარაღს სულ ცოტა 4 სამოქალაქო პირი ემსხვერპლა და 8 დაიჭრა.

მსხვერპლი აღირიცხებოდა როგორც კონფლიქტის დროს, ასევე მის შემდეგ. საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ჰალო ტრასტი“ კონფლიქტის ზონაში ომის დასრულების შემდეგ შევიდა და საბრძოლო ნარჩენებისა და ნაღმებისგან ტერიტორიის გასუფთავება დაიწყო. სოფელ მეჯვრისხევის მცხოვრებმა გიორგი გიგაურმა მეგობრებისგან შეიტყო, რომ „ჰალო ტრასტი“ ადგილობრივ კადრებს ატრენინგებდა და ორგანიზაციას მანაც მიმართა. ტრენინგების შემდეგ გიორგიმ კონფლიქტის ზონაში დიდხანს იმუშავა, ოკუპაციის საზთან ახლოს კი უამრავი აუფეთქებელი საბრძოლო მასალა აღმოაჩინა. „ჰალო ტრასტის“ განალმევლები საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლის გადასარჩენად მუშაობდნენ.

„ეს არის საქმე, რომლის შემდეგაც გულში დიდი სიამაყე მაქვს. პირადად მე 2010 წლიდან ჩავერთე სამუშაო პროცესში. 2010 წლის შემდეგ ამ წლის თებერვლამდე ვმუშაობ განალმევებად „ჰალო ტრასტში“. ძალიან დიდი ტერიტორიებია გასუფთავებული, მასშტაბური სამუშაოები შესრულდა და, შესაბამისად, ეს ადგილები ახლა არის უსაფრთხო. ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია მიწების დამუშავება და თავისუფლად შეუძლია იმოძრაოს.“

გოგა აფციაური

**„ოგას“ თამბაქოს ნაკრება აუქციონზე აღარ გაიყიდება - თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება**

სტოკჰოლმის არბიტრაჟმა შეაჩერა. სტოკჰოლმის საერთაშორისო სასამართლო კომპანიის დამფუძნებელმა საქართველოს მთავრობას ზენოლისა და უსამართლო დევნის გამო უჩივლეს. დავების გადაჭრის ავტორიტეტულმა ინსტანციამ მიღებული გადაწყვეტილებით ფაქტობრივად დაადასტურა, რომ კომპანიის წინააღმდეგ სახელმწიფო უწყებები ძალადობრივად მოქმედებდნენ.

# შორენა ბეგაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩანერგილი აბენტი იყო, რომ ღაპრით ბაგრატიონ-მუსხრანელი „გაეშავებინათ“!



სამეფო ოჯახს შორის არსებული დავა ერთადერთ მიზანს ემსახურება, ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი ცდილობს, მის ყოფილ მეუღლეს 90 000 ლარი სასამართლო დავის მეშვეობით წაართვას, - აცხადებს დავით ბაგრატიონის ადვოკატი ლევან ჩხეიძე.

„მოგესხენებათ, რომ მათი სამოქალაქო დავის მეორე ეპიზოდი ეხება თანაცხოვრების დროს შექმნილი ქონების გაყოფას. კერძოდ, ჩემმა მარწმუნებელმა 2014-2015 წლებში შეიძინა ორი ავტომობილი. შესაბამისად, ქალბატონი ანა აცხადებს, რომ ამ ავტომობილებზე, როგორც თანაცხოვრების დროს შექმნილ ქონებაზე საკუთრების უფლება აქვს. ოფიციალურად, ანუ იურიდიულად კი ისინი 2016 წელს განქორწინდნენ.

რატომ მიდის დავა ამ 90 000 ლართან დაკავშირებით? ქალბატონი ანა ეუბნება, რომ ეს ჩვენი თანაცხოვრების დროს შექმნილი ქონებაა, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს თანაცხოვრება უკვე შეწყვეტილი იყო. ყველანაირი დოკუმენტაცია არსებობს იმისა, რომ მათ 2013 წელს თანაცხოვრება შეწყვეტილი ჰქონდათ. შესაბამისად, მონააღმდეგე მხარე კარგავს 90 000 ლარს. ამიტომ, მათ წამოიწიეს ძალადობის ელემენტი“, - განაცხადა ლევან ჩხეიძემ.

ჩხეიძის თქმით, სიმართლეს არ შეესაბამება ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ადვოკატის განცხადება, რომლის თანახმად, სატელეფონო ანძით დასტურდება ის, რომ ძალადობის დღეს ანა ბაგრატიონ-გრუ-

ზინსკი საგურამოში იყო.

„დავით ბაგრატიონ-მუსხრანელის სახელზე არსებული ტელეფონი ქალბატონი ანას სახელზეა გაფორმებული. საქართველოში დაბრუნების დღიდან ქალბატონმა ანამ 2 ნომერი შეიძინა. ერთი მისცა ჩემს მარწმუნებელს და ერთი თავისთვის დაიტოვა. შესაბამისად, თუ მოიძიებთ ბატონი დავითის ნომერს, რომლითაც ის სარგებლობდა, ნებისმიერი ანა გეტყვით, რომ ქალბატონი ანა იმყოფებოდა საგურამოში. ამაში არაფერია გასაკვირი. ჩემს მარწმუნებელს ველაპარაკე და რაიმე ფორმით ძალადობას ამ მოცემულ საქმეში კვლავ გამოირიცხავს. ასევე კვლავ გამოირიცხავს, რომ ქალბატონი ანა მის სახელში იმყოფებოდა“, - განაცხადა ლევან ჩხეიძემ. მისივე თქმით, დავით ბაგრატიონ-მუსხრანელის საქართველოში დაბრუნების საკითხი დედამისის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე დამოკიდებულია.

გარდა ამისა, ადვოკატი პრესკონფერენციაზე გამოეხმაურა განცხადებას, რომლის თანახმად, დავით ბაგრატიონ-მუსხრანელი მსახიობ შორენა ბეგაშვილზეც ძალადობდა. ადვოკატი ამ ინფორმაციასაც სიცრუეს უწოდებს და ამბობს, რომ შორენა ბეგაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩანერგილი აბენტი იყო, რადგან წინა ხელისუფლების ინტერესში არ შედიოდა კონსტიტუციური მონარქის აღდგენა, ხოლო იმის გამო, რომ დავით ბაგრატიონ-მუსხრანელი „გაეშავებინათ“, აგენტად შორენა ბეგაშვილი მიუჩინეს.

## ს.ს.ი.პ - წილის ეროვნული სააგენტოს განცხადება

### სასარგებლო წილისეულის მოპოვების ლიცენზიის განცხადების მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წილისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წილის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის ([www.eauction.ge](http://www.eauction.ge)) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ წილის ეროვნული სააგენტო	დაცვა:
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წილისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.</p> <p>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუმუშავოს მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.</p> <p>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შესაბამისად დასტურდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.</p> <p>ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა ხორციელდება ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ.</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელმა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შედგენილობაზე.</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს სანიტარული ზონების</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. დაბის მიმდებარე ტერიტორია, (წყარო №3) მიწისქვეშა მტკნარი წყალი (ჩამოსხმის მიზნით, კატეგორია - B+C), მოსაპოვებელი წილისეულის მოცულობა - 55 115 მ <sup>3</sup> /წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. დაბის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	409 438 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	40 943,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (20%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	82 088 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 10 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 9 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 9 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 9 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში



### ბათუმში საფლავები გაქარხვანს!!!

ბათუმში შვიდი საფლავიდან ბრინჯაოსა და სპილენძის ბარელი-ეფები მოიპარეს. მოსახლეობა მკაცრ რეაგირებასა და ღამის დარაჯის და-ნიშვნას ითხოვს.

მათი თქმით, ბოლო ოთხი დღეა, სასაფლაოებს ქურდავენ. მომხდარ ფაქტზე გამოძიება 258-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც მიცვალებულის-თვის უპატივცემულობას გულისხ-მობს და 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

### ტურისტებს სისოსხლის მოსაპოვებელი მუქარით თანხას სკალავდნენ!

შინაბან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბა-თუმის საქალაქო სამმართველოს თა-ნამშრომლებმა, ინტენსიური ოპერატი-ულ-საგამოძიებო მოქმედებების შედე-გად, მოსამართლის განჩინების სა-ფუძველზე, ჯგუფურად ჩადენილი გა-მოძალადების ბრალდებით, 1989 წელს და-ბადებული დ.დ. და 1990 წელს დაბადე-ბული ო.ს., ასევე, წარსულში სხვადას-ხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი 3 პირი: 1984 წელს დაბადებული რ.ბ., 1988 წელს დაბადებული ზ.ო. და 1994 წელს დაბადებული ი.ქ. დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწი-ნებს. გამოძიებით დადგინდა, რომ და-კავებულები სხვადასხვა დროს ბათუმ-ში მდებარე ორ კლუბში, სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზი-ანების მუქარით, უცხო ქვეყნის მოქა-ლაქეებს სისტიმატურად სთხოვდნენ არარსებული მენიუს საფასურს და შე-უსაბამოდ დიდ თანხას ახდევინებდნენ. სულ ბრალდებულებმა 8 ტურისტს 2100 ევრო, 5123 ლარი და 10 800 თურ-ქული ლირა გამოსძალეს.

### გორის ცენტრში „ალტაოქეი“ გაქურდეს!

გორში, წმინდანყლის დასახლე-ბაში, საყოფაცხოვრებო ტექნიკის მა-ლაზია „ალტაოქეი“ გაქურდეს. რო-გორც იტყობინებინ, სამსახურში მი-სულ თანამშრომლებს მალაზიის შუ-შის კარი გატეხილი დახვდათ.

პირველადი დათვალიერებით, წა-ღებულია ძვირადღირებული მობი-ლური ტელეფონები. არსებული ინ-ფორმაციით, დამნაშავეებმა კარი ბლაგვი საგნით ჩაამსხვრიეს და მა-ლაზიაში ასე შეაღწიეს. „ალტაოქეი“ გორის ცენტრში მდებარეობს.



## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო ნიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გასემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო ნიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გა-მარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ზე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მენწმანი.	წყაროს წყლის მოპოვება ჩამოსხმის მიზნით	P	15 წელი	720 მ³	10 000	2 200

ა) მოპოვებული წყაროს წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ პირს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, წყაროს წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და შესაბამისად აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დაუშვას წყაროს წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

## იუსტიციის მინისტრმა ბრიტანეთის მოქალაქის ჯეკ სებასტიან შეფერდის ექსტრადიციის ბრძანება გამოსცა

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თა-ნამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხ-ლის მე-14 და მე-15 პუნქტებით მინიჭებული უფლებამო-სილების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის მინი-სტრის მიერ, 2019 წლის 8 აპ-რილს გამოცემულ იქნა ბრძანება, რომლითაც დაკ-მაყოფილდა დიდი ბრიტანე-თისა და ჩრდილოეთ ირლან-დიის გაერთიანებული სამე-ფოს კომპეტენტური ორგა-ნოების მიერ წარმოდგენი-ლი შუამდგომლობა გაერ-თიანებული სამეფოს მოქა-ლაქე ჯეკ სებასტიან შეფერ-დის (Jack Sebastian Shepherd/Sheperd/Sheppard; დაბ. 17 აგ-ვისტო 1987 წელი) ექსტრა-დიციის თაობაზე.



ექსტრადიციის შესახებ ბრძანება ეფუძნება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სა-გამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი გან-ხილვის კოლეგიის მოსამართლის 2019 წლის 26 მარტის გან-

ჩინებას ჯ. შეფერდის გაერთიანებულ სამეფოში ექსტრა-დიციის დასაშვებობის შესახებ, რომელიც ჯ. შეფერდის მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში არ გასაჩივ-რებულა.

ასევე, ბრძანებაში მითითებუ-ლია, რომ ჯ. შეფერდის გაერთი-ანებულ სამეფოში ექსტრადიცია არ ეწინააღმდეგება საქართველოს სა-ხელმწიფო სუვერენიტეტს, უსაფრ-თხოვრებასა და ძირითად ინტერესებს, და ასევე არ არსებობს ჰუმანიტა-რულ ან სხვა გარემოებათა გამო ჯ. შეფერდის გაერთიანებულ სამეფო-ში ექსტრადიციაზე უარის თქმის სა-ფუძველი.

ექსტრადიციის შესახებ ბრძანება აღსასრულდელად გადაეცა სპეცი-ალურ პენიტენციურ სამსახურს, რომელსაც დაევა ჯ. შეფერდის გაერთიანებული სამეფოს კომპეტენტური ორგანოს წარ-მომადგენლებისათვის გადაცემა კანონით დადგენილი წე-სითა და ორი ქვეყნის შესაბამის სტრუქტურების თანამ-შრომლობის შედეგად დადგენილ ვადაში.

## კაფე-ბარის სტუმრებს ნიჩბით დაესხა თავს

იტალიაში, ქალაქ მოლფეტაში, სა-ქართველოს მოქალაქე ნიჩბით ხელში კაფე-ბარის სტუმრებს დაესხა თავს. იტალიური მედია თვითმხილვე-ლებზე დაყრდნობით, წერს, რომ სა-ქართველოს მოქალაქე ბარში წელს

ზემოთ შიშველი შევიდა და განაცხა-და, რომ გულის არეში ტკივილს გრძნობს. მოგვიანებით, მან ნიჩაბი აიღო და სტუმრებს დაესხა თავს.

კავეს მეპატრონემ პოლიცია გა-მოიძახა, თუმცა თავდამსხმელი კრა-

ბინიერების მოსვლამდე გაიქცა. როგორც თვითმხილველები ამბო-ბენ, მას სხეულზე ჭრილობები აღენიშ-ნებოდა, სავარაუდოდ, მხედველობის პრობლემები ჰქონდა, რის გამოც მან-ქანა დაეჯახა.



### ვიდრა კასი „გავშვობას“ დაუბრუნდებოდეს...

შემინილი ანალიზი, რომელიც დემენციის ხანდაზმულობის (გონებასისუსტის – რემდ.) დადგენის საშუალებას იძლევა მისი პირველადი ნიშნების გამოვლინებამდე 20 წლით ადრე.

თავის ტვინის უჯრედების სიკვდილის კვალდაკვალ სისხლში გარკვეული ცილის შემცველობა იცვლება: ის მისი „გამოშრობის“ სიჩქარის პროპორციულად იზრდება.

მეცნიერებმა შექმნეს მოწყობილობა, რომელიც სისხლში ამ ცილის კონცენტრირების დადგენის შესაძლებლობას იძლევა. ანალიზის ჩატარება 35-45 წლის ასაკშია რეკომენდებული.



### „ბოინგი“ 737 მაქსის ტიპის თვითმფრინავების წარმოებას ამსიკრებს

კომპანიის გენერალური დირექტორის განცხადებით, აპრილიდან კომპანია თვეში 52 ლაინერის ნაცვლად, 42-ს გამოუშვებს.

მიუღწევადობის განმარტებით, გადაწყვეტილება ორი ავიაკატასტროფის შემდეგ იქნა მიღებული, მას შემდეგ, რაც ეთიოპიასა და ინდონეზიაში მომხდარ უბედურებებს 346 ადამიანი ემსხვერპლა.



მიუღწევადობა პარასკევს გაკეთებულ განცხადებაში ასევე აღნიშნა, რომ ის მიმართავს კომპანიის დირექტორთა საბჭოს, შეიქმნას სპეციალური კომიტეტი, რომელიც გადახედავს წარმოების პროცესებს, ლაინერის პროექტირების თვალსაზრისით, ასევე კონტროლს გაუწევს, რამდენად ეფექტურად უზრუნველყოფს კომპანია უსაფრთხოების მაღალ ხარისხს როგორც მაქს ლაინერის, ასევე ბოინგის წარმოების სხვა თვითმფრინავებისთვის.

გამოძიების ვერსიით, ორივე შემთხვევაში ტრაგედიის მიზეზი თვითმფრინავის მართვის სისტემაში არსებული ხარვეზი გახდა. წარმოების შემცირების პარალელურად, არ იგეგმება თანამშრომელთა რაოდენობის შემცირებაც.

### შავა ზღვა 130 კგ-ზე მეტი კოკაინი გამოიყვანა

რუმინეთის პოლიციამ შავი ზღვის სანაპიროზე გამორიყული კოკაინის რამდენიმე პაკეტის აღმოჩენის შემდეგ, მასშტაბური სამძებრო სამუშაოები ჩატარა, რომელშიც 300-მდე პოლიციელი და 14-მდე სანაპირო დაცვის სომალდი მონაწილეობდა. საერთო ჯამში სამართალდამცავებმა ზღვის სანაპიროზე გამორიყული 130 კგ-ზე მეტი კოკაინის პოვნა შეძლეს.

რუმინეთის შსს-მ მოუწოდა მოქალაქეებს, რომ საეჭვო შეკვრის პოვნის შემთხვევაში, ის არ გახსნან. რადგან კოკაინი, რომელიც პაკეტებშია, მაღალი კონცენტრაციისა და სიცოცხლისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

როგორც პოლიციაში აცხადებენ, შავი ზღვის მიერ გამოირიყული ნარკოტიკი იმ მიტოვებული გემით გადაჰქონდათ, რომელიც რამდენიმე დღის წინათ რუმინეთის სანაპირო დაცვის სამსახურმა იპოვა. სომალდზე დაახლოებით ერთი ტონა კოკაინი აღმოჩნდა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაკავებულია 2 სერბი.



### აუქციონზე ნაპოლეონის სამეფო საპარკელი გაიყიდა

საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ ბონაპარტეს სამეფო საპარკელი აუქციონზე 500 ათას ევროდ გაიყიდა. ამის შესახებ აუქციონის სახლი Osenat-ი იტყობინება.

აუქციონი ფრანგი მონარქების ისტორიულ ფონტენბლოს რეზიდენციაში გაიმართა. ახალი მფლობელის ვინაობა არ სახელდება.

აუქციონის დაწყებამდე Osenat-ი სამეფო საპარკელს 60-80 ათას ევროდ აფასებდა.

ცოტა ხნის წინათ ასევე გაიყიდა ნაპოლეონ ბონაპარტეს სამი სასიყვარულო წერილი, რომლებიც მან თავის მეუღლეს – ჟოზეფინას გაუგზავნა. წერილები საფრანგეთში Drouot-ის აუქციონზე 510 ათას ევროდ გაიყიდა.



### არქეოლოგებმა სამარხში თაგვების მუმიები აღმოაჩინეს

არქეოლოგებმა ეგვიპტის ქალაქ სუჰაგთან ახლოს ძველევგვიპტურ სამარხში თაგვებისა და სხვა ცხოველების მუმიები აღმოაჩინეს. ცხოველების ნაშთები ორი სარკოფაგის გარშემო იყო განლაგებული. სამარხის შიგნითა კედლებზე კი დაკრძალვის პროცესი და მინდორში მომუშავე ადამიანები იყო გამოსახული.

ექსპერტების თქმით, საფლავი დაახლოებით 2 ათასი წლის წინანდელია, მასში დაკრძალული იყო მაღალი რანგის დიდგვაროვანი, სახელად ტუტუ და მისი მეუღლე.

სამარხი 2018 წლის ოქტომბერში აღმოაჩინეს, ძველ არტეფაქტებზე მონადირე ადამიანების წყალობით, რომლებიც იქ უკანონო გათხრებს აწარმოებდნენ, უკანონო არქეოლოგები სამართალდამცავებმა დააკავეს.

ეგვიპტის ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ახალი აღმოჩენა ქალაქ სუჰაგში, რომელიც ქაიროდან 390 კმ-ში მდებარეობს, ტურისტებს მიიზიდავს.



### დახმარების მსურველთა საყურადღებოდ! მოგმართავთ გაზეთის მფრინველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

### საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

ბ. ჩიქოვასას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5 ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;

ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

გამომცემლობა: შპს „თანადგომა“-1 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი იხეჭდება გამომცემლობა „ქოლორ პრესში“ რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალაში დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქმლა, მუდამ არ ემთხვევოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

### გაზეთის მომწოდებელი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 11 აპრილს



უხსოვრი პალატის ქარსი: აუზ დოლარი - 2.6903; შირი - 3.0212; ბრიტანული გირანა სტერლინგი - 3.5168; 100 რუბლი - 4.1142; თურქული ლირა - 0.4811; აზერბაიჯანული მანათი - 1.5824; 1000 სომხური დრამი - 5.5242.

### აპრილი 9 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო: ბარა - ლაგო +9, ღლე +25; მთიანი რაიონები - ლაგო +2, ღლე +25; დასავლეთი საქართველო: ბარა - ლაგო +9, ღლე +30; მთიანი რაიონები - ლაგო +4, ღლე +27; თბილისი: ლაგო +13, ღლე +23

### დავითიძე, მოგვრეაძე:

ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ულ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge